ცალკე ნომერი **5** კაპ.

# ტალღა

თფილისი

ხუთშაბათი, 10 (23) აგვისტო.

**1906**

წელიწადი პირველი

რედაქციის კანტორა იმყოფება მიხაილოვის პროსპექტზე, № 102 ეზოში.

**№ 10** ყოველ-დღიური გაზეთი. **№ 10**



30 ივლისიდან ქ. თფილისში გამოდის ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ტ ა ლ ღ ა“

ხელის-მოწერა მიიღება **მხოლოდ რედაქციის კანტორაში**—მიხაილოვის პროსპ., სახლი № 102.

**გაზეთის ფასი:** ერთი წლით ღირს 7 მან., ექვსი თვით—4 მ., სამი თვით 2 მან., ერთი თვით—ქალაქში 75 კ., პროვინციაში—90 კ., საზღვარგარეთ ერთი წლით—10 მ., ნახევარი წლით—6 მ. ცალკე № ყოველგან 5 კ.

ხელის-მოწერა მიიღება დილის 10—3 საათამდე, საღამოთი 5—7 საათ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „ТАЛГА“.

## გაზეთის გამყიდველე-ბის საყურადღებოთ

ვაცხადებთ, რომ პროვინციის აგენტებს თითო ეგზემპლიარი გაზეთისა ეთმობა 3 1/2 **კაპეიკათ**. აგენტმა გაზეთის გამყიდველებს უნდა დაუთმოს 4 **კაპეიკათ**, დარჩენილ გაზეთებს უკან აღარ ვღებულობთ. თფილისშიაც გამყიდველებს 4 კაპეიკათ ეთმობათ ეგზემპლიარი.

### ვეტცელის თეატრი

**კვირას**, 13 **აგვისტოს** 1906 **წ.**

სახალხო სცენის მოყვარეთაგან, წარმოდგენილი იქნება პირველათ ახალი ორიგინალური პიესა

I

## თფილისის ჯურღმულები

სცენა თფილისის ცხოვრებიდან 3 მოქ. ა. ბაქრაძისა.

II

## ე რ თ ო ბ ა

სცენა რესტორანში 1 მოქ. ალ. ბაქრაძისა.

მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო ამხანაგები.

ბილეთები იყიდება: გაზეთ „ტალღის“ კანტორაში, დილის 12 საათიდან 3 საათამდე ალექ. ლანდთან და წარმოდგენის დღეს თეატრის კასაში საღამოს 4 საათიდან.

გამგე **ალ. ბაქრაძე**.

სიფხიზლის საზოგადოების სასარგებლოთ კვირას, 13 აგვისტოს ლგოტაკის ველოდრამაში (მიხეილის პროსპ., ვეტცელის სასტუმროს პირდაპირ) გაიმართება

## დიდი სეირნობა

შემდეგი პროგრამით: ველოსიპედის დოლი, მოკაზმულ ვირით სეირნობა, მიზანში სროლა, რებუსი საჩუქარით, ტიკინა ამოცანა, ბედნიერების ბოჩკა, მოძრავი სათამაშოები, გრამოფონი, ლატარია-ალეგრა, ბუფეტი, Petit chevaul (პატარა ცხენების დოლი). დაუკრავს სამხედრო მუსიკა.


### რამ გააოპოზიციონერა?

—

ამას წინათ „პოლიტიკურ მიმოხილვაში“ ჩვენ აღვნიშნეთ ის ფაქტი, რომ ყოფილმა „17 ოქტომბრის პარტიამ“ მარცხნივ დაიწია, რომ მემარჯვენეებიც კი ოპოზიციაში ჩაუდგენ მთავრობას. როგორც უკანასკნელ ცნობებიდან ჩანს, „კრამოლა“ „მკვდართა სამეფოში“—სახ. საბჭოშიაც შეპარულა: მის ცენტრსაც მარცხნივ დაუხევია და კადეტების პროგრამა-მინიმუმს მიახლოვებიან; საბჭოს ცენტრს მოუწონებია ის პროგრამა, რომელიც წამოაყენა „მშვიდობიან განახლების პარტიამ“, ე. ი. სხვათა შორის მინისტრების პასუხისმგებლობის მოთხოვნაც და ზოგიერთ შემთხვევაში მიწის იძულებითი გამოსყიდვაც. საზოგადოთ, ბიუროკრატიულ წრეებშიაც კი უფრო და უფრო მეტი თანამგრძნობი უჩნდება თურმე კადეტების პროგრამას. ამ ბოლო დროს, როგორც გაზეთები გვაუწყებენ, კადეტებშიაც განხეთქილება მომხდარა: ერთი ნაწილი თურმე უფრო „გაბედულ (рѣшительный) მოქმედების“ თხოულობს.

ადვილი გასაგებია, როცა მთავრობას ოპოზიციაში უდგას მუშათა კლასი, ან გლეხკაცობა, ან წვრილი ბურჟუაზია, ან ინტელიგენცია; მაგრამ ეს როგორ მოხდა, რომ „რევოლიუციონერთა“ რიცხვში უცბათ მოექცენ მემამულეების იდეოლოგები—მემარჯვენე კადეტები და 17 ოქტომბრისტები? როგორ მოხდა, რომ შიპოვი, გუჩკოვი, სტახოვიჩი, რომლებიც ყოველთვის რევოლიუციის დაუძინებელი მტრები ყოფილან, უცბათ სხვებთან ერთათ წესწყობილების შეცვლას მოითხოვენ? რით აიხსნება, რომ ისინი აჯანყდნენ იმ რეჟიმის წინააღმდეგ, რომელმაც ისინი ასე გამოასუქა?

ყველაფერი ეს აიხსნება იმით, რომ ამ ბოლო დროს საბოლოოთ გამოაშკარავდა მთავრობის სრული უძლურება.

ეს ორი წელიწადია, რაც რუსეთში „უწესოება“ ატყდა. მუშების გამუდმებულმა გაფიცვებმა, ფოსტა-ტელეგრაფის მოქმედების შეწყვეტამ, რკინის გზებზე მოძრაობის მალმალ შეჩერებამ, გლეხების მოძრაობამ—ძილი დაუფრთხო შეძლებულ კლასებს. ეს ორი წელიწადია, რაც მათი სკივრები წინანდებურათ შეუწყვეტლათ და „წესიერათ“ აღარ ივსებიან; ეს ორი წელიწადია, რაც მათი მიწები წინანდებურათ უშველებელ შემოსავალს აღარ იძლევიან; ეს ორი წელიწადია, რაც მათი საქონელი დაუბრკოლებლივ ვეღარ მიდის საზღვარ-გარეთ. ყველა ეს უბედურება მათ რევოლიუციამ დამართა, და აბა რა საკვირველია, თუ ისინი მტრულათ უყურებენ რევოლიუციას. რევოლიუციის ჩაქრობა—აი ის ნატვრა, რომელიც მათ სიზმარშიაც კი აგონდებათ; რევოლიუციის ჩაქრობა—აი რას შესთხოვენ ისინი ერთხმათ მთავრობას. მთავრობაც რაც ძალი და ღონე აქვს ცდილობს მათი სურვილი შეასრულოს, სულ ყველგან საომარ დროის წესები შემოიღო, სულყველგან პულემიოტები აახუხუნა, ციხეები რევოლიუციონერებით გაჭედა, ციმბირი „მავნე“ ხალხით გაავსო,—ყოველი ღონე იხმარა მთავრობამ, მაგრამ არ იქნა, რევოლიუცია ვერ მოკლა, ვერ დაამყარა ის სანატრელი წესიერება, რომელსაც ციურ მანანასავით მოელიან მდიდარი კლასები. პირიქით, მთავრობის უთავბოლო, უგუნურმა მოქმედებამ უფრო გაამწვავა უწესოება, რომლისაც ისე ეშინიათ მდიდარ კლასებს; მთელ სახელმწიფოში გაამეფა ხაოსი, ანარხია, მკვლელობა, ძარცვა-გლეჯა, ქურდობა. მთავრობას ძალა აღარ შესწევს ყველა ამას ებრძოლოს. რა ხანია, მაგ., პოლონეთში შემოღებულია საომარი წესები, მაგრამ დაამყარა ამან წესიერება? აბა ყური დაუგდეთ რას იუწყებიან გაზეთები: „2 აგვისტოს ვარშავაში მოკლულია: 13 გოროდოვოი, 4 უბნის ზედამხედველი, 7 ჟანდარმი, 4 სალდათი (მოკლულთა რიცხვი სულ—28); დაჭრილია: 8 გოროდოვოი, 2 უბნის ზედამხედველი, 2 ჟანდარმი, 6 სალდათი (დაჭრილთა რიცხვი სულ—18); კერძო პირთაგან მოკლულია 15, დაჭრილია 100-დის“. ეს ერთ დღეში; ომიანობის დროსაც არა ხდება ხოლმე, რომ ერთ დღეში ერთმა ქალაქმა ამოდენა მცხოვრებნი დაკარგოს! ეს ამბავი ხდება მთელ რუსეთში.

მთელ რუსეთში დათარეშობენ მძარცველები, რომლებიც მცხოვრებთ თავზარსა სცემენ. ვინ არ იცის, როგორ გახშირდა მძარცველობა, მაგ., თფილისში: ისე დღე არ გავა, რომელიმე მცხოვრებმა ბარათი არ მიიღოს, ესა და ეს „ტერორისტები“, „ანარქისტ-კომუნისტთა ჯგუფი—თავისუფლება“, „მებრძოლი რაზმი“, „შავი ყორანი“ და სხ. და სხ. „მოითხოვენ თქვენგან“ ამდენს და ამდენსო; შუადღის გულზე კონკებს აჩერებენ და ხალხს სძარცვავენ, მცხოვრებთ შიშით ღამე ფეხი გარეთ ვერ გამოუდგამთ, გაძარცვის ეშინიათ. ამავე მდგომარეობაში არიან ყველა ქალაქების მცხოვრებნი, ესევე ხდება ყველგან: მოსკოვში, პეტერბურგში, კიევში, ოდესაში და სხ.

გარდა ამ უძლურებისა, მთავრობა თავის უთავბოლო ჩარევით უფრო ამწვავებს დამოკიდებულებას გლეხთა და მემამულეთა შორის, მუშათა და კაპიტალისტთა შორის. მაგ., ვორონეჟის გუბერნიაში, რომელსაც განსაკუთრებულ სიძლიერით მოედო ამ ბოლო დროს გლეხთა მოძრაობა, გლეხები და მემამულეები შეთანხმებულან თურმე, მაგრამ საქმეში ჩარეულან გამოგზავნილი ყაზახები და თავის მოქმედებით ხელახლათ გამოუწვევიათ უფრო ძლიერი მოძრაობა. მოსკოვში კაპიტალისტები დათანხმებულან მუშებს ჯამაგირი მისცენ იმ 3 დღეში, როცა მუშები გაფიცულები იყვნენ, მაგრამ გრადონაჩალნიკს უბძანებია, გაფიცვის დღეების ქირა დააკელითო. ყოველ დღე ხდება ამნაირი მაგალითები.

რუსეთის მთავრობამ დაამტკიცა სრული თავისი სიგიჟე, სიუძლური რევოლიუციის მოსპობის საქმეში; მან დაამტკიცა სრული უნიჭობა „წესიერების“ აღდგენის საქმეში; ეს ამ ბოლო დროს კარგათ დაინახეს მდიდარ კლასების იდეოლოგებმა; ისინი ეხლა დარწმუნდენ, რომ ეხლანდელი მთავრობა ვეღარ შესძლებს სანატრელ წარსულის დაბრუნებას, მათ დაინახეს, რომ სანამ ძველი მთავრობა არსებობს, მათთვის შეუძლებელია უწინდებურათ, „წესიერათ“ ჯიბეების ტენა.

„ძლიერი მთავრობა“! აი რა სურთ მდიდარ კლასებს. „ძლიერი მთავრობა“, რომელიც ხალხს დააშოშმინებს და უზრუნველყოფს მემამულეთა და კაპიტალისტთა სიმდიდრის ზრდას!

მხოლოდ ამით აიხსნება მემარჯვენე პარტიების „ვალიბერალება“, მხოლოდ ამით აიხსნება მათი „გაოპოზიციონერება“.

### პოლიტიკური მიმოხილვა

**პროფესიონალურ კავშირების დევნა.**

რევოლიუციაში ყველაზე მხურვალე მონაწილეობას პროლეტარიატი იღებს, ის უდგას რევოლიუციას სათავეში, და საკვირველიც არ არის, თუ რეაქცია ყველაზე უფრო პროლეტარიატზეა გაავთრებული და ყველაზე მეტათ მაზე ყრილობს ჯავრს.

ამ სამი-ოთხი თვის წინად მთავრობამ გამოსცა კანონები პროფესიონალურ კავშირების ვითომდა თავისუფლების შესახებ. ეს კანონებიც წმინდა პოლიციური ნაწარმოები იყო, მაგრამ წინანდელ კანონებთან შედარებით პროლეტარიატს ცოტა თავისუფლებას მაინც აძლევდა პროფესიონალურ კავშირების შესადგენათ. მაგრამ დუმის გარეკის შემდეგ რეაქციის სუსხი მეტის-მეტის სიმკაცრით მოხვდა პროფ. კავშირებს. გაზეთ „ტოვარიშჩ“-ში მოყვანილია ცნობები გაუქმებულ კავშირის შესახებ; 20 ივლისიდან მოყოლებული გაუქმებულა შემდეგი კავშირები: 1) მოსამსახურე ფარმაცევტთა კავშირი; 2) ბეჭვდითი საქმის მუშათა კავშირი; 3) მესაათეთა კავშირი; 4) მუშათა კავშირი; 5) ნოქრების კავშირი; 6) მებულკეების კავშირი; 7) ხის მთლელების კავშირი; 8) მეკანტორეების და ბუხგალტერების კავშირი; 9) კონდიტერების კავშირი; 10) ინჟენერების და ტეხნიკების კავშირი. როგორც ამ ფაქტიდან ჩანს, მთავრობას ფაქტიურათ გაუუქმებია ის კანონები, რომელიც მან გამოსცა ამ 4 თვის წინათ.

ან გამოცემა რა იყო, ან გაუქმებაო?—იკითხავს მკითხველი. სწორედ ამაში მდგომარეობს მთავრობის ტრაგიზმი. პროფესიონალური კავშირების თავისუფლება მთავრობისთვის ხერხი იყო რევოლუციის წინააღმდეგ. ამ კანონების გამოცემის დროს მთავრობა იმ აზრით ხელმძღვანელობდა, რომ მუშათა მოძრაობა ეკონომიურ კალაპოტში ჩადგება და პოლიტიკას მხარს აუქცევსო. ეხლა მთავრობა დარწმუნდა, რომ პროფესიონალურ კავშირებმა უფრო ძალიან გააღრმავა მუშების პოლიტიკური შეგნება, უფრო ხელი შეუწყო რევოლიუციის განვითარებას. ამაზე იტყვიან: „ერიდებოდი ღოლოსა, დამხვდა ორღობის ბოლოსაო“.

მთავრობა წინათ იძულებული გახდა პოლიტიკურ მოძრაობის თავიდან ასაცდენათ პროფესიონალურ კავშირების თავისუფლება აღეარებინა; ეხლა იძულებულია პოლიტიკურ მოძრაობის თავიდან ასაცდენავე ეს პროფესიონალურ კავშირების თავისუფლება ფაქტიურათ გააუქმოს. ასეთ „მოჯადოებულ წრეში“ ტრიალებს მთავრობა, მაგრამ საითაც უნდა ეხეთქოს, პოლიტიკურ შეგნებას ვერსა წაუვა, და ეს შეგნება ადრე თუ გვიან მას ბოლოს მოუღებს.

## ახალი ამბები

თფილისის პირველ საპოლიციო ნაწილში ამ დღეებში რამდენიმე სახლი გაჩხრიკეს. გუშინ **მთაწმინდაში ჩხრეკა** გაგრძელდა. ლესნოი პერეულკაში გაჩხრიკეს რატიანის სახლი. დაიჭირეს რამდენიმე ახალგაზდა, სხვათა შორის ნემსაძე, კვინტრაძე, გულიძე, კობახიძე, გვარჯალაძე და სხვ. ესენი მთელი ღამე პოლიციაში გააჩერეს და მხოლოდ გუშინ, დილის ათ საათზე გაანთავისუფლეს. დაიჭირეს აგრეთვე ომიაძე, რომელსაც მაუზერის სისტემის რევოლვერი უნახეს და სცემეს.

✦ ორშაბათს, 7 აგვისტოს, საღამოს 9 საათზე ლაზარევის ქუჩაზე **მარქაროვის ღვინის მარანში** რამდენიმე უცნობი პირი შესულა და ღვინო მოუთხოვიათ. ცოტა ხნის შემდეგ დახლიდარს ლაპარაკი მოსვლია, რადგან პირველთ ფულის გადახდაზე უარი უთქვამთ. უცნობები დახლიდარს დამუქრებიან და წასულან. ამის გამო ყველა ახლო-მახლო მოვაჭრეებს თავიანთი სავაჭროები საჩქაროთ დაუკეტიათ და თავ-თავიანთ სახლებში წასულან. ღამის 1-ლ საათზე ვიღაცეებს ისევ გაუმტვრევიათ მარქაროვის ღვინის სარდაფი, სეროფოვისა და ათაბეგოვის საწვრილმანოები და რაც შიგ უნახავთ ყველაფერი გაუტაციათ.

✦ როგორც სენაკ-ს მაზრიდან გვწერენ, სოფ. ახუთში ამ დღეებში **მოუკლავთ მღვდელი დავით პაპასქირი**, რომელსაც ჯაშუშობას აბრალებდენ.

✦ იმავ მაზრის სოფ. ნოსიხის მცხოვრებლებს **ბოიკოტი გამოუცხადებიათ** იმავ სოფ. მცხოვრებ იულონ დგებუაძისთვის ოჯახობით.

✦ უწმ. სინოდის განკარგულებით მღვდელი **იონა ბრიხნიჩევი** ვალაამის მონასტერში იგზავნება თურმე (წმ. ალექსანდრეს კუნძულზე). ბრიხნიჩევის ასეთ უდაბურ ადგილზე გაგზავნა კურსკის გუბერნატორის წყალობით მომხდარა, მას შუამდგომლობა აღუძრავს შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე გლინსკის უდაბნოში არ გაეგზავნათ ბრიხნიჩევი, რადგან მას შეეძლო იქ ცუდი გავლენა მოეხდინა უდაბნოს პატრიარქალურ ცხოვრებაზე და უთხოვნია შორეულ ადგილზე გაეგზავნათ.

✦ გუშინ-წინ საღამოს, თფილისის გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით **დახურეს**, სამხედრო წესების გაუქმებამდე, სომხური **გაზეთი „ალიკი“ და ქართული—„მუშა“**, თფილისის გარნიზონის შესახებ ამბების დაბეჭდვისთვის.

✦ თფილისის გუბერნატორმა ნება დართო ვ. დავითიანცს გამოსცეს თფილისში სატირიული **ჟურნალი „კომარ“** (კოღო).

✦ როგორც გავიგეთ ამ დღებში ფოთში **მოუკლავთ** ამხანაგი **ივლიანე ჩხიკვაძე.**

✦ კვირას, 6 აგვისტოს, დილით **მღვდელს ლევან აბულიანცს** (ბაგრატიონის ქუჩა, № 1) წაუყვანია თავისთან 13—14 წლის გოგო, რომლისთვის უთქვამს ოჯახში მოსამსახურეთ მინდებხარო. გოგო აბულიანცს წაყოლია სახლში. ჩვენ გადმოგვცეს, რომ აბულიანცს გოგო უწვალებიაო. გოგო ავათ არის თურმე.

✦ სინოდალურ კანტორის **პროკურორი რუმჩინსკი**, როგორც გავიგეთ, სამსახურს თავს ანებებს, იმის ადგილას ნიშნავენ ვინმე პრაღინს, რომელიც სასულიერო უწყებაში დიდი ხნის ნამსახური ყოფილა.

✦ ქალაქის ფარნების თავთავის დროზე აუნთებლობის გამო, თფილისის დროებით **გენერალ-გუბერნატორმა** 50-მდე სახლის პატრონი დაჯარიმა.

✦ მე-10 საპოლიციო ნაწილის უბნის ზედამხედველი, ყოფილი ფელდფებელი **გრიცუნასი** მცხეთის ბოქაულად ინიშნება.

✦ ამ დღეებში ვიღაც უცნობთ **მოუკლავთ** ენაგეთის (თფილისის მაზრაშია) სოფლის მამასახლისი. ბოროტ-გამზრახველი აღმოაჩინეს.

✦ ოთხშაბათს, 8 აგვისტოს ქალაქის გამგეობის დარბაზში მოხდა **კრება** იმ კომისიისა, რომელიც ქალაქის „ნედოიმკების“ აკრეფის საქმეს განაგებს. უნდა ამოერჩიათ კომისიის თავმჯდომარე, მაგრამ რადგან ორი წევრი ვერ დაესწრო, არჩევანი შემდეგისთვის გადაიდო. მთელი კრება მხოლოდ მოწოდების ფორმის შემუშავებას მოუნდა, რომლითაც უნდა მიმართონ ვალდებულ მცხოვრებთ.

✦ თფილისის ქალაქის **სახელოსნო სასწავლებელში** მოსწავლეთა მისაღებ თხოვნების მიღება გრძელდება. სასწავლებელში სულ 65 ადგილია, დღემდე 100-ზე მეტი თხოვნა შემოსულა.

✦ 7 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე **კარაკლისის ქუჩაზე**, არსენალის პატარა ხიდის მახლობლათ ვიღაცამ რევოლვერი გაისროლა. იქვე ახლო პატრულებით მიმავალმა აფიცერმა ალექსანდროპოლის ქუჩაზე შეიპყრო ათანასე ათანასიანცი, ალექსანდროპოლის პერეულოკში გასპაროვის სახლში მცხოვრები. ათანასიანცს თან რევოლვერი აღმოაჩნდა, რომელიც აართვეს და იმასთან ერთათ საკომენდატო სამმართველოში გაგზავნეს.

✦ 8 აგვისტოს, ნაშუადღევის 3 საათზე მე-9 საპოლიციო ნაწილში, **ნეკრასოვის ქუჩაზე** მეეტლე № 651-ს მელქაძეს ორმა უცნობმა დანით დაჭრა მოუნდომეს. ერთი მათგანი მორიგ გოროდოვოიმ დაიჭირა. იგი აღმოჩნდა ევგ. კოზაკევიჩი.

✦ შვიდ აგვისტოს, ღამით **ვორონცოვის ქუჩაზე** ელექტრონის ტრამვაის ვაგონი დაეწია ბორჩალოს მაზრის მცხოვრებ მამედ-ოსმან-ოღლის, რომელიც ურმით მიდიოდა და ძლიერ დააშავა. ოსმან-ოღლი მიხეილის საავათმყოფოში გააგზავნეს, ხოლო ვაგონის კონდუქტორი სახვარიანცი პასუხის გებაშია მიცემული.

✦ 8 აგვისტოს, ნაშუადღევის სამ საათზე **ცერკოვნი ქუჩაზე** აგუნაპოვის სახლს ცეცხლი გაუჩნდა, რომელიც ცოტა ხნის შემდეგ ცეცხლის მქრობელმა რაზმა ჩააქრო. ცეცხლმა მაინც 2000 მანეთამდე ზარალი მისცა სახლის პატრონს, რომელსაც ეს სახლი 16000 მანეთ დ ქონია „სალამანდრის“ საზოგადოებაში დაზღვეული.

✦ **თფილისის გუბერნატორმა** წინადადება მისცა ქალაქის გამგეობას—დაწვრილებითი ცნობები წარმოუდგინოს იმის შესახებ, თუ რათ დააჯარიმა უსახელო საზოგადოების გამგეობა ვაგონების მოძრაობის საზაფხულო ნუსხის დროზე შემოუღებლობის გამო. ჯარიმა სულ 55,000 მანეთს უდრის.

✦ 9 აგვისტოს მე-9 საპოლიციო ნაწილის სამმართველოში გოროდოვოიმ მიიყვანა ერთი ახალგაზდა ნიკ. გინსბურგი, რომელსაც ჯიბეში ყალბი ფულები აღმოჩენია.

✦ გუშინ, თფილისის საგუბერნიო ციხიდან **არხანგელის გუბერნიაში გაგზავნეს** შემდეგი პირები: სპირდონ ვაშაკიძე, გიორგი ბოსაშვილი, სერაფიონ ეგვერაძე, ნიკა-

ფორე დოლიძე, იოსებ ხოტენაშვილი, მელიქ არუთინოვი, ალექსი სილაგავა; ალექსანდრე მეზურნოვი და შაქრო პრელაშვილი. ამათგან გიორგი ბუხაშვილი, სერაფიონ ეძგვერაძე და ნიკიფორე დოლიძე ამ ცოტა ხანში დაიჭირეს სასტუმრო „როსია“-ში, სადაც ისინი მოსამსახურეებათ იყვნენ.

◆ ქალაქის თავის მოადგილემ **ვ. ჩერქეზიშვილმა** წინადადება მისცა ქალაქის საუქციონო ზალის გამგეს სამი დღის განმავლობაში წარმოადგინოს ცნობა ხსენებულ ზალის მოქმედების შესახებ და ანგარიში, რომელიც ქალაქს მიმდინარე წლის პირველ მარტიდან ერგება. თუ ზალის გამგე ამას არ შეასრულებს, პასუხის გებაში იქნება მიცემული.

◆ ქალაქის განათების საქმის აგენტს ლალოიანცს ერთდროულ „დახმარებათ“ 200 მანეთი მიეცა და 2 თვის „ოტპუსკი“. იმის მოვალეობას დროებით ტუბამელიანცი შეასრულებს.

◆ დუშეთის მაზრის ს. სტეფან-წმინდაში მცხოვრებ გიორგი ეფრემაშვილს ამ დღეებში თოფით მოუკლავს იმავე სოფლის მცხოვრები სიმონ ფიცხალაური.

◆ 7 აგვისტოს, ღამით სამი უცნობი თავს დაესხა ავჭალის ქუჩაზე მიმავალ მოხელეს კონ. **ჩუგუნიძეს** და გაძარცვა მოუნდომეს, მაგრამ რადგან იქავე ახლო პატრულები აღმოჩნდენ, ვერ მოახერხეს. პატრულებმა დაიჭირეს ერთი უცნობთაგანი, რომელიც აღმოჩნდა თფილისის მცხოვრები გეურქ სარქისოვი.

◆ დაზარალებულ თეოფილე ქვეითაას სასარგებლოთ ერმილე ბურჭულაძემ შეაგროვა 14 მ. 15 კ. რომელიც უკვე დანიშნულებისამებრ გადაეცა.

◆ შაბათს, 5 აგვ. მთაწმინდაში მცხოვრებ **სანდრო კიკოლაშვილს** მოპარეს ორი ხული ახალი ტანისამოსი, ორა ოქროს ბეჭედი, სულ ღირებული 40 მან. და მიიმალნენ.

## თავისუფლება თუ ავაზაკობა?!

„თავისუფლება! თავისუფლება! მედგრათ გაიძახის დიდი, პატარა, ქალი და კაცი“.

თავისუფლებას მოითხოვს ყოველი დღევანდელ წყობილებიდან დამონავებული და დაბეჩავებული კლასი, ამ ძვირფასმა სიტყვამ ჩაახედა ყველა დატანჯული ერები თავის ცხოვრების სარკეში და დაანახვა თავისი ნამდვილი მტერი. თავისუფლების განსახორციელებლათ იბრძოდა და იბრძვის დღესაც მრავალ წლობით წამებული მშრომელი ხალხი.

ადამიანისათვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს თავისუფლება: გონების განვითარების, წინმსვლელობის და კულტურულ მოქმედების და სხვ.

ამნაირ თავისუფლებასთან საერთო არა აქვთ რა: ავაზაკობას, მხეცობას, უსინდისობას, შეუგნებელ ძალმომრეობას, დარბევა დაწიოკებას და სხვ.

ვისაც ამ რიგათ ესმის თავისუფლება, იგი უკიდურესი მტერი არის დღევანდელ განმათავისუფლებელ მოძრაობის, იგი რეაქციონერებთან ერთათ აფერხებს მოძრაობის წინმსვლელობას, გაფართოებას და მის განვითარებას.

სად არ გინდა, რომელ სოფელში, რომ ავაზაკები და შავრაზმელები შემთხვევით არ სარგებლობდენ რევოლიუციონურ პარტიათა სახელით და არ აწიოკებდენ, ისედაც მრავალ გვარათ შევიწროებულ და მტრისგან დარბეულ მცხოვრებთ. გაზეთების ფურცლები სავსე არის სხვა და სხვა სოფლის გლეხ-კაცთა დარბევის ცნობებით.

ამ დროს თავზე მდგომი მტერი ძალაუნებურათ ილიმება ამგვარ შავრაზმელების წყალობით. გული იმედებითევსება და არსებულ სიბნელით მოცულ ველურ სამეფოს კვლავ ამაგრებს. მათ კარგათ იციან, რომ რევოლიუციონური პარტიების სახელით ცარცვა-გლეჯა, დარბევა-დაწიოკება, უსამართლო მკვლელობა ნდობას უკარგავს ხალხის დღევანდელ მეთაურებს და განმათავისუფლებელ მოძრაობასაც ასუსტებს.

რას ფიქრობენ ის ვაჟბატონები, რომლებიც დღეს-დღეობით განავარდებულნი არიან სხვა და სხვა ავაზაკობაში? ნუ თუ არ იციან, რომ მშრომელი ხალხი მათაც მოსთხოვს—პასუხს?...

დადგება დრო და ამდენიხნის უსამართლო მტრისგან დაჩაგრული მშრომელი ხალხი ყველა სისხლის მწოველს მოსთხოვს სამაგიერო პასუხს.

**ასოთ-ამწყ. დონ-ლანი.**

## მ უ შ ა თ ა  შ ო რ ი ს.

**ბათუმის ნაპირის მუშები და „აჭარის არტელი.“** 29 ივნისიდან ჩვენ ნაპირის მუშები აჭარის არტელისა *) გაფიცული ვართ განურჩევლათ ეროვნებისა, აჭარელი მაჰმადიანი ქართველები, ქობულეთლები, ოსმალოები, სპარსელები, სომხები, რუსები და ქართველები. ჩვენ მოვითხოვთ „აჭარის არტელის“ მოსპობას და პირდაპირ კანტორებთან დამოკიდებულებას. ამის მოთხოვნა დავადგინეთ უმუშევართა საბჭოს მიტინგზე. სანამ რეაქცია დაიწყებოდა, ჩვენ პირდაპირ სამუშაოს მიმცემ კანტორებთან გვქონდა საქმე. და სამუშაო პირობებიც ახლანდელთან შედარებით ცოტათ უკეთესი იყო: რვა საათის სამუშაო დღე, ხელფასი 9—12 აბაზამდე; გარდა ამისა ერთ და იმავე სამუშაოზე ორჯერ მეტი მუშა იდგა და სხვა პირობებიც გაუმჯობესებული იყო. ერთი სიტყვით, მოკლეთ რომ ვსთქვათ, მაშინ მუშებსაც მეტს ღებულობდენ და ხელფასსაც გაცილებით მეტს იძლეოდენ. რეაქციის დროს თითქოს ქვესკნელიდან ამოძვრაო, გაჩნდა „აჭარის არტელი“ და.. ჩვენი საქმეც უკან-უკან წავიდა. მუშები ნაკლებს ღებულობენ და ხელფასიც, განურჩევლათ ხელოვნებისა, შვიდ აბაზამდე დავიდა. ცხადია ჩვენი უბედურების მიზეზი ამ არტელში მარხია და მაშასადამე ეს აუცილებლათ უნდა აღიგავოს ამ ქვეყნის პირიდან, ამას მოითხოვს ჩვენი საერთო ინტერესები! შეიძლება მკითხველს გაუკვირდეს, რატომ ამ დრომდი არ ავუგეთ წესი ამ, ვითომდა აჭარელ მუშებისთვის თავდადებულ მზრუნველს; მაგრამ ამის მიზეზი უფრო სხვა იყო. 16 აპრილშიაც ვიყავით გაფიცული, მაგრამ პრისტავ მურადოვის და კაზაკთა რაზმების წყალობით და შაშიკოღლის ხელმძღვანელობით ბევრი საუკეთესო ამხანაგი დაგვიპატიმრეს და მეორე მხრით ბ. შაშიკოღლი და სულეიმანბეგი მთელი თავიანთი ბნელი ძალებით აჭარის ხალხში აგიტაციას ეწეოდენ: ნაპირის მუშებს თქვენი სახელის მოსპობა უნდათ ბათუმშიო, თუმცა-ღა ყველა ეროვნების მუშები ვიყავით გაფიცული. ამიტომ დიდი ბრძოლის შემდეგ იძულებული ვიყავით შევდგომოდით მუშაობას სულ სხვა მოსაზრებით.

დღეს ჩვენი გაფიცვის უმთავრესი მიზანია, მოვსპოთ ის მავნე დაწესებულება, რომელსაც „აჭარის არტელი“ ეწოდება. აბა ერთი მიბრძანეთ, რა საჭიროა მუშებსა და კანტორას შორის რაღაც სხვა დაწესებულების ჩაკვეხება? ნუთუ ჩვენ თითონ ვერ გავიკვლევდით კანტორისკენ გზას? ხოლო თურამ უთანხმოება ჩამოვარდებოდა კანტორებსა და მუშებს შორის, განა მუშები თვითონ ვერ მოვახერხებდით ღირსეულ და სანდო შუამდგომლების მოძებნას? მაგრამ ბ. შაშიკოღლის და სულეიმანბეგ ბეჟანიძეს აჭარელი მუშების საქმეების მოწესრიგება არაფრად აინტერესებს, აინტერესებს მხოლოდ თავ-სი გათხელებული ჯიბის შესქელება; ეს ცხადზე უცხადესია. „აჭარის არტელის“ წარმომადგენლებისთვის არავის დაუვალებია ასეთი შუამდგომლობა და არც ნაპირის მუშებისთვის უკითხავს ვისმე ამგვარი არტელის დაარსება!.. თუ რომ მართლა მუშების საკეთილდღეოთ იკისრეს (როგორც არტელის წარმომადგენლები ირწმუნებიან) ამ არტელის დაარსება, ვისთვის უნდა ეკითხათ თუ არა მუშებისთვის? ცხადია დამაარსებლებს თავისი მუცლის ტკივილი ჰქონიათ და მეტი არაფერი!..

შვიდ აბაზს ზევით თორმეტ აბაზამდე თითონ იტოვებენ და გარდა ამისა (რაც უმთავრესია) კანტორებიდან, მაგ., 50 კაცის ქირას იღებენ, ხოლო სამუშაოთ ოცდა ათ კაცს გზავნიდენ!... კარგია თქვენა მზემ უზრუნველი ცხოვრება და სხვისი ნაოფლარით იოლათ წასვლა. არ შეწუხდეთ, ბატონო შაშიკოღლი და სულეიმან ბეგ ბეჟანიძე, გრძელი ჯიბეებში დაიკერით, მაგრამ უბედურება ეს არის, რომ ამ ბოლო დროს მუშები სავსებით თუ არა იმდენათ მაინც მოვეკვიანდით, რომ ასე აშკარათ, მზის სინათლეზე და ასე უიხტიბრო მტაცებლობა აღარ გამოგვეპარება. მიზეზიც ეს არის, რომ ასე ერთხმათ მოვითხოვთ „აჭარის არტელის“ დაუყონებლივ გაუქმებას. აქ ის უფრო საყურადღებოა, რომ არტელის გაუქმება ყველაზე მედგრათ და მტკიცეთ სწორეთ აჭარელ ამხანაგებმა მოითხოვეს!... არტელის წარმომადგენლებს კი რომ კითხოთ ისე გიპასუხებენ, თითქოს აჭარის ხალხს მიენდოს მათთვის არტელის დაარსება. ვსთქვათ ეს მართლა ასეა და აჭარის ხალხმა სთხოვა ბ-ნ შაშიკოღლის და სულეიმან ბეჟანიძეს: არტელის დაარსება... მერე და ის დაავალა მათ, რომ 50 კაცის ალაგას ოცდა ათი კაცი (30) მიიღე და დანარჩენის ხელფასი შენ ჩაიჯიბეო? ან ცხრა აბაზიდან თითოზე ორ-ორი აბაზი შენ ყლაპე და მას მხოლოდ შვიდი აბაზი წაუკდეო?!.. ნუ თუ აჭარელმა ამხანაგებმა ისიც დაგავალეს თქვენ, ბატონებო, რომ სამუშაოს მომცემ კანტორებს (სამი წლის) პირობით შეეკარით და ჩვენ, აჭარელი მუშები ყველა მუშებზე იაფათ ვიმუშავებთო? ალბათ ამასაც მუხლ-მოდრეკით შეგევედრებოდენ აჭარლები, რომ როგორმე სამუშაო დღე ცხრა საათიდან 10 საათამდე აიყვანეთო. ნუ თუ ისიც დაგავალეს აჭარელმა ამხანაგებმა: უქმე დღეებში მუშაობისათვის ორი წილი ფასი არ მოგვცენო? ნუთუ ისიც დაგავალეს: მუშაობის დროს თუ მუშა მოკვდეს ან დაშავდეს დახმარება, არამც და არამც არ მოგვცენო? შეიძლება ისიც დაგავალეს, ექიმის დახმარება არ გვინდაო? ჰაი, ჰაი ბ-ნნო შაშიკ და სულეიმან! განა შეიძლება ასე ცხადი ტყუილი? თქვენ ხომ არცხვენთ საზოგადოების წინაშე მთელ აჭარლებს? ჩვენ კარგათ გვესმის, აგეთები არაფერიც არ დაუვალებია აჭარელ ამხანაგებს.

შაშიკოღლი და სულეიმან-ბეგ ბეჟანიძე არწმუნებდენ კანტორებს, თქვენ მხოლოდ სამუშაო მომეცით და სულ ჩავაქრობ ნაპირის მუშებში მაგათ სულელურ გაფიცვებსო. განა ეს დაავალეს აჭარელმა ამხანაგებმა? არა და არა, ათასჯერ არა. ხედავთ, მკითხველო, თუ რა ფასი და სარჩული ჰქონია არტელის წარმომადგენელთა აჭარელ ამხანაგებისადმი ვითომდა მზრუნველობას! მაგრამ ცხადია არტელის წარმომადგენლებმა განგებ ამოაფარეს აჭარელ მუშებს თავი, რა არის, მუშებს დაჯაშინებთ და ავკაცობაც შეგვრჩებაო! ვისი მოტყუება ნებავთ ნეტავი ამ ვაჟბატონებს?... ბატონო შაშიკ-ოღლი და სულეიმან-ბეგ ბეჟანიძევ, ასეთ ბოქმედებაზე ტყვიან, ფიცი მწამს, მაგრამ ეს ღვანლვალი ბოლო კა მაკვირვებსო. რაც გაფიცული ვართ აგერ ერთ თვეზე მეტია და კიდევ განვაგრძოთ გაფიცვას, მაგრამ არც არტელის წარმომადგენლებს ძინავთ. ისინიც თავგამოდებით გვებრძვიან, არავის არ ზოგა[...] კი გაფიცულები დგვამარცხონ[...] აჭარის სოფლებში თავიანთ [...] ეწევიან აგიტაციას, რომ ნაპირ[...] აჭარელი ხალხის სახელის მოსპ[...] და მედგრათ დაიცავით თქვენი[...] მაგრამ ჩვენ ამაზე პასუხს ვაძლ[...] შიკოღლის და ბეჟანიძეს. ჩვენ [...] ნდა აჭარელი ხალხის სახელის [...] თუმში, ეს რაღას მოასწავებს, [...] ლათ გაფიცვა აჭარის არტელის [...] თვითონ აჭარელმა ამხანაგებმა [...] დეს? კარგი, მაგალითათ ჩვენ, [...] ნების მუშებს გვინდა აჭარელი [...] სახელის მოსპობა, მაგრამ ის რა[...] წავებს, რომ აჭარელი ამხანაგ[...] ლის გარდა ზავოდებშიც მივიღ[...] ზედაც მუშაობენ ჩვენთან სხვა [...] ის რაღას მოასწავებს უმუშევა[...] რომ ისე უნაწილებს სამუშაო[...] ამხანაგებს, როგორც სხვა ერ[...] მაშ ჩვენ აჭარელი ამხანაგების [...] სპობა არ გვინდა, ეს აშკარაა. [...] ვართ მხარი დაუჭიროთ და გაუ[...] ბა აჭარელ ამხანაგებს, მხოლოდ [...] აჭარლებთან ერთათ შეერთებუ[...] მოვსპოთ აჭარელი ამხანაგების მ[...] ბი და ესე თქვენ ბძანდებით, ბა[...] შიკ-ოღლი და სულეიმან ბეგ [...] თქვენი არტელი!

ეს რაღას მოასწავებსო, ვ[...] თქვენ, ბატონო, შაშიკ-ოღლი, [...] თქვენ ნაპირის მუშებს გინდათ [...] გაუქმება, ჯერ ქართველების არ[...] აუქმეთო. განა ქართველების არ[...] სებობს? არ არსებობს ბ-ნო, არა! [...] ლებმაც შეგნებულათ დაანგრიეს [...] როგორც მავნე დაწესებულება [...] წინააღმდეგ და მოითხოვენ პირ[...] მოკიდებულებას კანტორებთან [...] რით. ეხლა რას მიბრძანებთ, [...] რომ იბაქებოდით მე ჩემი ერის, აჭ[...] ინტერესების დამცველი ვარო. [...] სწორეთ თქვენისთანა უნდა!.. [...] სხვებსაც ერთათ მოითხოვენ არტ[...] სპობას და რატომ არ გააუქმე[...] აჭარელი ამხანაგების ინტერესებ[...] ვენ? მაგრამ შენ უფრო სხვა სა[...] მიმართე. შედიხარ აჭარის სხვადა[...] ლებში და თქვენი ღირსების შესა[...] ტაციით მოგყავს ახალ-ახალი მ[...] ამხედრებ გაფიცულების წინააღმ[...] რამ, გაეცნობიან თუ არა გაფ[...] არსს, ისინიც უერთდებიან დაბ[...] ცულ ამხანაგებს შეგნებულათ [...] ბენ: „ქართველების არტელზე [...] თითებდი ხელს, ახლა ქართველ[...] ლი აღარ არსებობსო. მაგრამ ას[...] შენა ხომ ვერ იმოქმედებს!!.. თ[...] ნივრათ იცით, რომ „აჭარის არტ[...] ნი ჯიბის დაუშრეტელი წყარო[...] შესარჩენათ ზოგიერთი აჭარელ[...] ბლობით თქვენებურათ სარგებლ[...]

---

*) ეს არტელი შესდგება სულ ხუთი წევრისაგან.

---

# ფელეტონი

—:—

### სხვადასხვა სახელმწიფოების კონსტიტუცია

(თარგმანი *)

გერმანიაში და ავსტრიაში ზემო პალატას გაცილებით მეტი ძალა აქვს, ვინემ ინგლისში; გერმანიაში ფაქტიურათ კანონების უმეტეს ნაწილს ადგენს საკავშირო საბჭო, იხილავს წარმომადგენლების პალატა და შემდეგ ზემო პალატის ხელში გადადის დასამტკიცებლათ. ბელგიაში სენატს მინიჭებული აქვს სახიფათო უფლება „დამატებები დაურთოს ქვემო პალატის მიერ შემუშავებულ კანონ-პროექტს“; პრაქტიკულათ ეს იმას ნიშნავს, რომ სენატი თუმც არ უარყოფს პროექტს სავსებით, მაგრამ ღებულობს მას იმ სახით, რა სახითაც თვითონ მოეწონება.

მაგრამ ქვემო პალატის დამოუკიდებლობა და ზემო პალატის ასეთი თუ ისეთი უპირატესობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა განწყობილება არსებობს კანონმდებლობასა და აღმასრულებელ ძალას შორის. მთავრობა შეიძლება სრულიად ემორჩილებოდეს ან არ ემორჩილებოდეს დეპუტატების პალატას. სხვადასხვა ქვეყნის კონსტიტუციებში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი, მაგრამ პოლიტიკურმა ცხოვრებამ უკვე შეიმუშავა ერთნაირი კონსტიტუციონური ნორმა. ისეთი თანასწორ უფლებიანობა სახელმწიფოს სხვადასხვა ორგანოებს შორის, როგორც ეს მონტესკიეს ესმოდა, რასაკვირველია, არსად არ არსებობს. ზოგ შემთხვევაში ერთი ორგანოა უფრო ძლიერი, ზოგში კი მეორე.

საკანონმდებლო ძალა—თუ ვიგულისხმებთ წარმომადგენლების პალატას—ის ძალაა, რომელიც ხალხს წარმოადგენს, აღმასრულებელი ძალა—უმაღლესი მთავრობაა, რომელიც ხალხს გარეშე დგას, ძველი ტიპის სახელმწიფოებში მაინც. სადაც ხალხს უფლებები დაპყრობილი აქვს და საკმაოთ უზრუნველყოფილი, იქ აღმასრულებელი ძალა—მთავრობა—ხალხის წარმომადგენლების უმრავლესობისაგან ირჩევა და ამ უმრავლესობის წინაშე პასუხის მგებელიც არის, როგორც იურიდიულათ, ისე ფაქტიურათ. ასეთი მთავრობა ადგილზე რჩება მანამდე, სანამ მას წარმომადგენლების უმრავლესობა ნდობას უცხადებს. ასეთ ქვეყანაში პარლამენტი არა მარტო კანონმდებელია, არამედ მმართველიც.

სადაც ხალხს კიდევ არ დაუპყრია საკმაოთ პოლიტიკური უფლებები, სადაც უმაღლეს მთავრობას დიდი რეალური ძალა აქვს, იქ ხალხის წარმომადგენლების მოღვაწეობა მხოლოდ თათბირით თავდება. ისინი მსჯელობენ კანონების ავ-კარგიანობის შესახებ და ყოველ წელს შემოსავალ-გასავლის ანგარიშს ამტკიცებენ.

ამას გვეუბნება ჩვენ პოლიტიკურ ცხოვრების კონსტიტუციონური უფლება. დაწერილ კონსტიტუციებში სულ სხვა ნაირათ არის ეს გამოთქმული. ბელგიის კონსტიტუციაში ნათქვამია, რომ მინისტრების დანიშვნა და გადაყენება მეფის უფლებას შეადგენს; საფრანგეთის კონსტიტუცია იმას ამბობს, რომ ყოველ სამხედრო და სამოქალაქო თანამდებობაზე პრეზიდენტი ნიშნავს კაცებს. ინგლისშიაც ამავე უფლებას ჩვეულება მეფეს ანიჭებს. თეორეტიულათ მეფე და პრეზიდენტი დგანან აღმასრულებელ ძალის სათავეში; მაგრამ რადგანაც ეს აღმასრულებელი ძალა ცხოვრებამ პარლამენტს დაუმორჩილა, ამიტომ ფაქტიურათ ისინი მხოლოდ ფორმალურ ჩვეულებას ასრულებენ. ნამდვილათ კი მეფეც და პრეზიდენტიც იმას აკეთებენ, რასაც მათ კონსტიტუცია უბრძანებს.

წარმომადგენლების პალატა თვალყურს ადევნებს მინისტრების თვითეულ ნაბიჯს. თუ პარლამენტი და სამინისტრო ვერ შეთანხმდენ, მაშინ ისმება კითხვა ნდობის შესახებ. თუ წარმომადგენლების უმრავლესობამ სამინისტროს უნდობლობა გამოუცხადა, ეს უკანასკნელი სამსახურიდან უნდა გავიდეს. არც ერთ კონსტიტუციაში არ სწერია, რომ სამინისტრო ასეთ შემთხვევაში სამსახურიდან უნდა გადადგესო, მაგრამ ეს მაინც მნიშვნელოვანი კონსტიტუციონური წესია. როცა ამგვარათ სამინისტრო იშლება. მეფე ან პრეზიდენტი ახალ სამინისტროს იწვევენ. პრაქტიკულათ ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი უფლებას აძლევენ პარლამენტის უმრავლესობის მეთაურს. გამოდის, რომ აღმასრულებელი ძალა და საკანონმდებლო ერთდებიან. სამინისტრო, თუ ის პარლამენტარულია, პარლამენტის ნაწილს შეადგენს და თუ ხალხი საარჩევნო უფლებით წესიერათ სარგებლობს, იმ შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ სამინისტროც ხალხის არჩეულია, თუმცა არა პირდაპირ აღმასრულებელ ძალას—მთავრობას—სისრულეში მოყავს პარლამენტის მიერ მიღებული კანონები. მაგრამ კანონების სისრულეში მოყვანა სახელმწიფოს ყველა საქმეების ხელმძღვანელობას ნიშნავს. მაგრამ კანონები რაც გარკვევით და დაწვრილებით უნდა შეადგინონ იგინი, ამ ხელმძღვანელობის მხოლოდ საერთო მხარეს ეხებიან. რაც უფრო დაწვრილებით შედის პარლამენტი ამ კანონების განხილვაში, მით მეტი რეალური ძალა რჩება მის ხელში. პირიქით, რაც უფრო საზოგადო ხასიათის ნორმებს ადგენს ის, მით მეტი ძალა რჩება მათ ხელში, ვისაც ეს კანონები სისრულეში მოყავს. კანონების სისრულეში მოყვანა,—ეს ნიშნავს ათასგვარი ადმინისტრატიული განკარგულების გამოცემას შესახებ ვაჭრობა-მრეწველობისა, მიწათ-მოქმედებისა, განათლებისა, ფინანსებისა, ჯარისა, სხვა სახელმწიფოებთან დამოკიდებულებისა და სხვა. თუ მინისტრები მხოლოდ ხალხის ნებას ასრულებენ, მაშინ მათ გარკვეული ბრძანება უნდა მიიღონ ხალხის წარმომადგენლებისაგან. მაგრამ რადგან კანონი და ადმინისტრატიული განკარგულება ერთი არ არის, ამიტომ მინისტრების პარლამენტის წინაშე პასუხის მგებლობა ხალხს დიდ უფლებას აძლევს სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში მონაწილეობა მიიღოს.

ნამდვილ კონსტიტუციონურ სახელმწიფოებში აღმასრულებელი ძალის წარმომადგენელს, მეფეს გინდ პრეზიდენტს უფლება არა აქვს დამოუკიდებლათ იმოქმედოს; ყოველი მისი ბრძანება მინისტრის მიერ უნდა იქნას ხელმოწერილი. ინგლისელების შეხედულებით „მეფე თავის მოქმედებაში შეუცდომელია“, ასე, რომ ყოველთვის პასუხს აგებენ მისი მინისტრები. თუ იმათი ბრძანება ან მოქმედება კანონს ეწინააღმდეგება—და კანონი ქვეყნის უმაღლესი მმართველია—მაშინ პარლამენტი მათ პასუხისგებაში აძლევს; თუ მათი ბოროტმოქმედება ნათლათ ვერ დამტკიცდა, მაშინ პარლამენტი მათ უნდობლობას უცხადებს. ყოველ დეპუტატს აქვს ინტერპელიაციის ნება, ე. ი. მას შეუძლია ამა თუ იმ მინისტრს შეეკითხოს მის მოქმედებას ან განკარგულების შესახებ. ასეთ შეკითხვას ყოველთვის მოყვება კითხვა ნდობის გამოცხადების შესახებ.

სადაც ასეთი მართვა-გამგეობის წესი არსებობს, იქ ხალხის წარმომადგენლებს ყოველგვარი შეძლება აქვთ სამინი[...] ქმედებას კანტროლი უყონ. [...] პასუხისმგებელია, როგორც კო[...] (ჯგუფი) და სამსახურსაც ყველა[...] რები ანებებენ თავს. სამინისტრო[...] ნის დროს ყურადღებას აქცევენ [...] მასი წევრები უმრავლესობის [...] ან ორი-სამი უძლიერესი პარტიი[...] არჩეულნი. ამ გვარათ ეგრეთ [...] პარლამენტარული სამინისტრო [...] სახის არის; ერთი მხრით ის წ[...] პარლამენტის უმრავლესობას, მე[...] თითქოს მის გარეშე არსებულ ძ[...] გორც ასეთს მას თვალსაჩინო [...] ბლობა აქვს და ეს დამოუკიდებ[...] ვის თავათ იგულისხმება, რადგა[...] ტრო იძულებულია დეპუტატე[...] ლესობას დაემორჩილოს და ს[...] კანონები აასრულოს. ინგლისში [...] მას ფართო უფლება აქვს მინი[...] გარეო პოლიტიკაში და განსა[...] უფლება საფინანსო პოლიტიკაში [...] და, პირველ მინისტრს, როგო[...] წარმომადგენელს, ერთობ დი[...] აქვს მინიჭებული: მას შეუძლია [...] ტი დაითხოვოს, თუ ეს უკანა[...] არ ეთანხმება და ახალი არჩევ[...] შნოს. ეს კი ერთობ სახიფათო [...] დგან სამინისტროს ხალხის ი[...] ქონდეს, როცა პარლამენტს [...] ხალხმა მას მხარი არ დაუჭირ[...] თვითონ ეცემა.

თუ ხალხმა მისი ძველი წარმომ[...] და სამინისტროს უთანხმოების გ[...] ახალ არჩევნების დროს ისევ ძვ[...] ჩია, ეს იმას ნიშნავს, რომ ხალ[...] პარლამენტის და არა სამინის[...] შემთხვევაში სამინისტრო ეცემა[...] ქით, ხალხმა სამინისტროს მიმ[...]

---

*) იხ. „ტალღა“ № 8.

ლითათ, 16 ივლისს რომ 64 მუშა დაიჭირეს კარგი საქმე იყო? ან ორი ამხანაგი, ოსმალეთის ქვეშევრდომნი, რომ დააპატიმრეს და ოსმალეთში გაგზავნეს მუშების ინტერესების დაცვა, გამოხატავდა? ამისათვის ერთხმათ მოვითხოვთ აჭარლები, ქობულეთლები, ოსმალოები, სპარსელები, სომხები, რუსები, ქართველები არტელის განადგურებას, ვინაიდგან აგეთი არტელები რეაქციის ღვიძლი შვილია და რეაქციის ძუძუთი იკვებება. და ჩვენ კიდევ განვაგრძობთ გაფიცვას, განვაგრძობთ სრულ გამარჯვებამდე. ძირს ეროვნული შუღლი, გაუმარჯოს ეროვნულ შეერთებას!

ა. ჩ.

—

**გლდანის მეხრე-მეურმეები.** გლდანის მეხრე-მეურმეთა მოთხოვნები ყველა დაკმაყოფილებიათ და მუშებიც საქმეს შეუდგენ.

—

**ზემო ავჭალის მებაღეები.** გაფიცულან ზემო ავჭალის ბაღის მუშები და მოთხოვნები წარუდგენიათ ვისთვისაც ჯერ არს. რადგან გაფიცვა ერთსულოვნათ სწარმოებს, მოსალოდნელია სრული გამარჯვება.

—

**გიორგი ისაევის ღვინის საწყობი** არ იქნა, ვერ შეეჩვიენ ზოგიერთი ხაზეინები იმ პირობებს და უფლებებს, რომლებიც უკანასკნელ გაფიცვით მოიპოვეს მუშებმა. მათ ჯიუტობას და თავგასულობას საზღვარი არ აქვს. აგერ რამოდენიმე დღეა, რომ ღვინის საწყობის პატრონი, ბ. გიორგი ისაევი ურცხვათ არღვევს და ფეხქვეშ თელავს იმ პირობებს და უფლებებს, რაც მუშებმა კარგი ხანია მოიპოვეს. უშვერის სიტყვებით იხსენიებს მოსამსახურეთა კავშირს და სხვ. არა ერთხელ გვქონდა მოლაპარაკება, არა ერთხელ მივეცით წინადადება, მაგრამ ამაოთ. ბატონი გიორგი ისაევი მაინც თავისას გაიძახის. ბოლოს მუშები იძულებული გახდენ თავი განებებიათ მუშაობისათვის. ჩვენ, მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირი ვუცხადებთ გიორგი ისაევს ბოიკოტს, სანამ სრულიად არ დააკმაყოფილებს მუშებს. წინადადებას ვაძლევთ მუშებს გაფიცულების ადგილი არ დაიჭირონ და მივმართავთ პატივცემულ საზოგადოებას მხარი დაგვიჭირონ და არ აიღონ ბ. გიორგი ისაევის ღვინო.

თფილისის მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირი.

## პროვინცია.

—

**სოფელი მალარო.** (ქიზიყი). აქ წელს ქლიავის კარგი მოსავალი იყო. მისმა პატრონებმა მოინდომეს ქლიავის არყათ გამოხდა და მით სარგებლობა. მალაროს, ბოდბის და ჭოტორის საზოგადოებაშ დაჰკრიფეს ზოგმა ქლიავი, ზოგმა ტყემალი, ზოგმა სხალი, ჩასდეს გამოსახდელათ. გაიგეს თუ არა ეს ქვაბის პატრონებმა, მაშინვე გაეშურენ ნებართვის ასაღებათ და მით უნდოდათ საპატენტოც და თავისი სწილადოც აეღოთ ქლიავ-ტყემლის პატრონებისაგან. მაგრამ ხალხმა არ გაუშვა: ჩვენ გვსურს თავისუფლათ გამოხდა, ჩვენ არავისაგან ნებას არ ვიღებთ, თუ გინდათ ისე დადგით ქვაბი და რაც გერგებათ ის აიღეთო. მეტი რა ძალა იყო, მათაც დადგეს და დაუწყეს ხდა. რასაკვირველია, ეს გაუბებედი არ დარჩებოდა ადგილობრივ სააქციზო სამართველოს, რომელმაც თავის მხრივ მიმართა ადგილობრივ სამაზრო ადმინისტრაციას. გამოგზავნილი იყო პრისტავი საქმის გამოსაძიებლათ, რომელმაც ქვაბი სადაც იდგა იმ ადგილიდან მოაშორებით, დაიბარა მოთავენი ე. ი. ვინც ქვაბზე ტრიალებდენ. დარჩა მხოლოდ ქვაბთან ერთი კაცი. სწორეთ ამ დროს წინათვე შედგენილი პლანით მოატაციეს სამს გოროდოვოის ქვაბის ზარფუში და გააქანეს. ზარფუშის მოტაცება მოხდა ქურდულათ, რადგანაც ხალხს არ გაუგია, გოროდოვები მიეპარნენ ხევიდან. გაიგეს რა ზარფუშის ამნაირი მოტაცება, ხალხი ძლიერ აღელდა და რაც ითქვა ეს ყველასათვის ცხადი უნდა იყოს. იმ საღამოსვე შეიკრიბა ხალხი, მოილაპარაკა და გადაწყვიტეს ზარფუშის უკან მოთხოვნა წამლებლებისაგან. მართლაც მეორე დღეს გაეშურენ რიცხვით 60 კაცი და ქალი, ქალები მეტნი იყვნენ კაცებზე. მათი გამბედაობა აჭარბებდა კაცებისას და კარგს შთაბეჭდილებას ახდენდა ყველა მაყურებელზე. ერთმა ქალთაგანმა ამხანაგმა კ. ნ. ხათლათ დაუსურათა, თუ როგორ იყვლიფება ხალხი ამნაირი ბაჟით და ბოლოს დასძინა: „ჩვენ მოვითხოვთ თქვენგან ზარფუშის უკან დაბრუნებას, ჩვენ გვინდა გავიგოთ იძლევით თუ არა და მერე ჩვენ ვიცითო“... ცუდ მდგომარეობაში ჩავარდენ, როგორც სააქციზო უფროსი, აგრეთვე დროებით მაზრის უფროსის თანაშემწე (მაზრის უფროსი ორი დღით სხვაგან იყო); მათ სთხოვეს მომთხოვნებს მეორე დღემდის მოეცადნათ მაზრის უფროსის მოსვლამდის, რაც შეიწყნარეს. მეორე დღეს გაიგზავნა შვიდი კაცი, რომელთაც წინანდელი მოთხოვნა გაიმეორეს, რამაც, მიუხედავათ მაზრის უფროსის არ ჰყოფნისა, იძულებული გახადა ისინი ზარფუში დაებრუნებიათ. დაბრუნებისათანავე განაგრძეს თავისუფლათ დაწყებული საქმე. ს. მალაროში ამ დღეებში იყო მიროვოი პოსრედნიკი, რომელსაც ძველი მთავრობის მოხელეებმა, მამასახლისმა, ნაცვლებმა, სუდიებმა, რეაქციის წყალობით განახლებული მღდლები უკან მიაყარეს და უთხრეს: „დღეის შემდეგ აღარ შეგვიძლია მთავრობის სამსახური. ჩვენც ხალხთან უნდა ვიყოთო“. ირჩევენ ახალ მმართველობას ეგესში.

შემთხვევით დამსწრე.

—

**ველისციხე** (კახეთი). დუმის გარეკამ ჩვენ სოფელშიაც მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ზოგი ძალიან დაღონდა, ზოგს კიდევაც გაუხარდა. უმეტესობა ზიზღს უცხადებს მთავრობას, რადგანაც მან ერთხელ კიდევ გვაჩვენა თავისი სიყალბე. ხშირათ გაიგონებს კაცი აქაურ გლეხებში: „ალბათ ჩვენი გაგზავნილი კაცებისგან, ანგარიშების მოთხოვნა არ ეჭაშნიკა“... „აბა თუ ბიჭია და მართალია, თავს იქ გაიმართლებდა“-ო.

ხალხი გაფატციცებით ადევნებს თვალყურს დღევანდელ ცხოვრებას. აქ გავრცელდა დეპუტატთა მოწოდება გადასახადების და სალდათის მიუცემლობაზე.

ჩვენში ქურდობა ვერ იქნა და ვერ მოისპო. ეს ნაძირალა ხალხი სარგებლობს დღევანდელი მომენტით და რა უსინიდისობა გინდა, რომ მათ არ ჩაიდინონ. ამ თვის ორში თუ სამში ვაჭარმა ეფრემ ისაკოვმა თავის სახლის აივანზე პატარა ბარათი იპოვნა, შემდეგის წარწერით: „ოცი თუმ.ნი ფული გამოიტანე და დადე ხეზე ფურცლის ძირში, თორემ მოლდათ აგიკლებთ“-ო. სამწუხარო ის არის, რომ ზოგიერთი გულუბრყვილო ადამიანი ყველა ამისთანა მოქმედებას სოციალისტებს აწერს.

ყაჩაღთა ბრბო თავისუფლათ დათარეშობს თელავ-სიღნ ღის მაზრებში. ხალხი ისეა შეშინებული, რომ გლეხები ჭალებში ვერ მიდიან სვის ასახდელათ. აი ახლო ხნის მაგალითი: ამ ოთხიოდე დღის წინათ ერთი ჩვენებური გლეხი არუთინა ბაგლიშვილი (ვერგავთიბე) წასულიყო სვეზე, სადაც ექვსი შეიარაღებული ყაჩაღი დახვედროდა; ჯერ მოეთხოვათ ყველაფერი, რომლის ყველაფერიც ორი შაური ფული აღმოჩენილიყო. რასაკვირველია, ეს ყველაფერი ჩამოართვეს და თვითონ არუთინა კი წნელით ხეზე ჩამოკიდეს ჩამოსახრჩობათ, ეს ამბავი არსაო სთქვასო. მერე სხვა რამ გადაეწყვიტათ და დახრჩობასთან მიახლოვებული კაცი ისევ ჩამოეხსნათ. აეკიდებიათ სამი სავსე ტომარა, რომლებშიაც წართმეულმოწაცებული „ხარა-ხურა“ ქონოდათ და ასე სვეზე წასული არუთინა, მთელი ღამე დატვირთული ატარეს. ამ ვაჟბატონებს ავიწყდებათ, რომ მათ ხალხი გაასამართლებს და ხალხს კი „ხუმრობა“ ეჯავრება.

**მუშტი.**

## ქალაქის გამგეობის მოსამსახურეთა ზნე-ჩვეულება.

ქალაქის გამგეობაში ამ ბოლოს დროს მოსამსახურეთა შორის ყოვლათ შეუწყნარებელმა უზრდელობამ და მოვალეობის შეუგნებლობამ იჩინა თავი; რასაკვირველია*) მათი არა-თავაზიანობაც და მოვალეობის შეუგნებლობაც მთხოვნელებისადმია მიმართული.

საქმე იმაშია, რომ ყოველდღე ქალაქის მოურავს სანახავათ აუარებელი ხალხი მიდის თავიანთ საქმის, ან თხოვნის შედეგის გასაგებათ. მთხოვნელთა შორის მომეტებულათ ბევრი დავრდომილია, ბევრი მათგანი ცხოვრების გამათახსირებელ პირობებს იმისთანა სილატაკის კარამდის მიუყვანია, რომ გარეგნული მათი შეხედულებაც კი შესაზარია. სწორეთ ამათთანა დავრდომილთათვის არის ქალაქის მოურავის კაბინეტის კარი დახშული ზოგიერთა არამკითხე მოსამსახურეთაგან. ამ მოხელეების არა თავაზიანობა იქამდის მიდის, რომ ამნაირ ხალხს ხშირათ ყვირილით გამოისტუმრებენ ხოლმე კაბინეტის კარებიდან, თუ ვინმემ გაბედა ახლო მისვლა და იმისაც კი არ კადრულობენ, რომ სწორე პასუხი გააგებინონ, ქალაქის მოურავი ამა და ამ საათ, იღებსო.

გასაოცარი ის არის, რომ მოურავის კარის ცერბერობა იმისთანა მანდილოსანს უკისრია, რომელსაც საქმე დიდ უქმობით თუ გამოუჩნდებოდა, ამის გარდა კი მთელი დღე ჩაისა და მაწონის შექცევაში და მასლაათში ატარებს. თუ ეს ქალბატონი იმ შეგნებას მოკლებულია, რომ მოხელე მთხოვნელებისთვის არის ალაგზე დაყენებული, ნოყიერმა მაწონის შექცევამ მაინც გაახსენოს, რომ ამ ხალხის ნაოფლარით უნდა გაუსწორდეს და მაშასადამე მართებს თავაზიანათ დაიჭიროს თავი ამისთანა მოთხოვნილებისადმი. გვჯერა, რომ ქალაქის მოურავს ბევრი საქმე აქვს, აუარებელი მთხოვნელი მიდის და აწუხებს მას, მაგრამ რა დასაჯერებელია, რომ მარტო ბრჭყვინავი პაგონებისა და ორდენების მქონენი იყვნენ ღირსნი მისი ნახვისა. სამწუხაროთ, ამრიგათ კი ყოფს არამკითხე მანდილოსანი მოურავთან მიმსვლელებს; პირველნი დაუყოვნებლივ, უჯეროთაც კი შედიან მოურავთან, ხოლო მეორენი, როგორც ამ სტრიქონების დამწერი იყო მოწამეთ, „городской голова не для всѣхъ“-ო, ამისთანა პასუხით უნდა დაკმაყოფილდენ.

ჩვენ ამ არა სასურველ მოვლენას: ყურადღებასაც არ მივაქცევდით, რომ დღითიდღე ქ-ნ სურგუნოვას და სხვათა არა თავაზიანობა crescenclo არ იზრდებოდეს და, ვინ იცის, სადამდის მივიდეს, თუ დროზე არა ეწამლა რა. ადამიანის თავმოყვარეობას, რა რანგსაც იგი უნდა ეკუთნოდეს,—ორდენებით აქვს გული შემოსილი თუ ძონძებშია შეხვეული—სიფრთხილით უნდა მოეპყრათ,—მეტადრე ჩვენს დროს, როცა ამ ძონძებში გამოხვეულმა ცხოვრება განაახლა

მეთვალყურე.

---

*) ამ წერილში მოყვანილ ფაქტების სიმართლეში პასუხს აგებს თვით ავტორი. რედ.

## ორი დოკუმენტი.

I

მათ მაღალკეთილშობილებას ბ-ნ დუშეთის მაზრის ჯარების უფროსს

დუშეთის საპყრობილეში დაპატიმრებულ მღვდლის სვ. წერეთლის

**თხოვნა.**

სარამულის მრევლის მცხოვრებლებს, სადაც მე მღვდლათ ვიყავი გაწესებული, ჩემი გასამრჯელო მართებთ 120 მანეთი შტატის დებულებით, 1904 წ. 1 სექტემბრიდან 1906 წ. 1 სექტემბრამდის. სულ მერგება 200 მანეთი; აქედან მივიღე 80 მ. და შესაფერი ბარათებიც მივეცი. რადგან ამ ჟამათ მე დაპატიმრებული ვარ და არ შემიძლიან პირადათ ავიღო ჩემი ხვედრი 120 მან., ხოლო ჩემი ოჯახი ქონებრივათ გაჭირვებულია, ამიტომ უმორჩილესათ გთხოვთ, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, ბრძანება გასცეთ, რომ სარამულის მრევლის მცხოვრებთ 120 მანეთი გადაახდევინოთ და ან პირადათ მე გადმომცეთ, ან ჩემ ოჯახს ჩააბაროთ. 10 თებერვალი, 1906 წ.

მღვდელი სვ. წერეთელი

ამ თხოვნაზე ასეთი წარწერაა დუშეთის მაზრაში დაბანაკებულ ჯარების უფროსისა: „დუშეთის მაზრის უფროსს შესასრულებლათ“.

პოლკოვნიკი დიკი. თებ. 1906 წ. № 185.

II

მათ მაღალკეთილშობილებას დუშეთის მაზრის ჯარების უფროსს

მღვდლის წერეთლი.

**თხოვნა.**

დასამტკიცებლათ იმ თხოვნისა, რომელიც მე წარმოვუდგინე თქვენს მაღალკეთილშობილებას 6 თებერვალს, 1906 წ. № 35-ით, შესახებ იმისა, რომ მოკრებილ იქნას ჩემ სასარგებლოთ 120 მან., მაქვს პატივი უმორჩილესათ ვთხოვო თქვენს მაღალკეთილშობილებას, რომ ბრძანება გასცეთ და საშაბუროს მრევლის მცხოვრებლებისაგან (იგივე სარამულის მრევლი) მოაკრებინოთ ჩემ სასარგებლოთ კიდევ 100 მან. გარდა ზემოხსენებულ 120 მან.. რადგან მე იქ მღვდლათ ვიყავი 1906 წ. სექტემბრიდან 1906 წ. 1 იანვრამდის, რა ხნის განმავლობაშიაც მათ უნდა გადამიხადონ 100 მან., სულ იმიანათ კი, რამდენიც მართებთ ჩემი 1904 წ. 1 სექტემბრიდან 1905 წ. 1 სექტემბრამდის—220 მანეთი. ამასთან მოკრძალებით (почтительнѣйше) გთხოვთ, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, ამ საქმის რეზოლიუცია, რაც შეიძლება, მოკლე ხანში შემატყობინოთ. 16 თებ. 1906 წ.

მღვდელი ს. წერეთელი

„მაზადეთის ბოქაულს: ასრულებულ იქნას. 25 თებ. 1906 წ. № 521“.

—

**რედაქციისაგან.** ეს ორი სენსაციური დოკუმენტი გამოაქვეყნა გაზ. „მუშამ“ და გადაბეჭდა „შრომამ“. ვბეჭდავთ ჯერ-ჯერობით უკომენტარიოთ. უეჭველია, სოც.-დემ. პარტიული ორგანიზაცია, რომელმაც სვ. წერეთელი კანდიდატათ წამოაყენა, საფუძლიანათ გამოიკვლევს ამ საქმეს და ჩვენც შეძლებას მოგვცემს სიმართლე გავაცნოთ მკითხველებს.

## რუსეთი

—

**დუმა და ხალხი.** მთავრობა დუმის ყოფილ წევრებს სასტიკათ სდევნის მეტადრე იმ შემთხვევაში, როცა ისინი ხალხთან მოინდომებენ საქმის დაჭერას. ხალხი კი სადაც მოახერხებს ანგარიშს თხოულობს დეპუტატებისაგან, მართავს მიტინგებს და კრებებს, სადაც დუმის მოქმედების შესახებ რეზოლიუციები გამოაქვს. 23 ივლისს ურალსკში შეერთებული ერილობა ქონიათ 1 და მეორე ურალსკი სტანიცებს (კაზაკებს). გადაუწყვეტიათ მოიწვიონ დეპუტატი ბოროდინი. ადმინისტრაციას—ატამანებს მცხოვრებლებისთვის ნება არ მიუციათ, მაგრამ ამ უკანასკნელთ ამისთვის ყურადღება არ მიუქცევიათ და დეპუტატ ბოროდინსაც ვრცლათ ულაპარაკია დუმის მოქმედების შესახებ, უთქვამს

---

ჩი:, ეს იმას ნიშნავს, რომ ძველი წარმომადგენლები ხალხს დაშორდენ, სამინისტრო კი ხალხის სურვილის გამომხატველი ყოფილა—ამ შემთხვევაში სამინისტრო იმარჯვებს.

საჭიროა აღვნიშნოთ, რომ სამინისტრო ეცემა, როცა მას უნდობლობას უცხადებს ქვემო პალატა, ისეთი შემთხვევა კი იშვიათად ხდება, როცა სამინისტროს ზემო პალატა ითხოვს. ამას გარდა ზოგან, მაგალ., ინგლისში, პირველ მინისტრს, რომელიც ქვემო პალატის წარმომადგენლათ ითვლება, შეუძლია უთანხმოების დროს ახალი ლორდები დანიშნოს და ამ გვარათ ზემო პალატაში თავისი მომხრე ე. ი. ქვემო პალატის თანახმა უმრავლესობა შექმნას. აქედან ცხადია, რომ პარლამენტარული სამინისტროს არსებობა მოასწავებს საკანონმდებლო ძალის უპირატესობას, სახელდობრ ქვემო პალატის ბატონობას.

სულ სხვანაირათ არის საქმე იქ, სადაც პარლამენტარული სამინისტრო არ არსებობს. აქ ჩვენ შევეხებით სახელმწიფოს ორ ტიპს: გერმანიაში არა პარლამენტარული სამინისტროს არსებობა აიხსნება იმით, რომ იქ ჯერ კიდევ ძლიერია აღმასრულებელი ძალა, ამერიკაში კონსტიტუციის შემდგენლებმა სიტყვა სიტყვით გაიყვანეს სხვადასხვა დაწესებულებათა გაყოფის პრინციპი.

ინგლისში, საფრანგეთში და ბელგიაში პარლამენტის დათხოვნა ხალხის სურვილის გაგებას ნიშნავს. სულ სხვაა გერმანიაში. იქ არ არსებობს კოლექტიური სამინისტრო, უძლიერესი პარტიების წევრებისაგან შემდგარი. აღმასრულებელ ძალას სათავეში უდგას იმპერატორი, რომელიც თავის სურვილისამებრ ნიშნავს კანცლერს, ადმინისტრაციის გამგეს. ამ უკანასკნელს სრულიად არ ეშინია უნდობლობის გამოცხადების და ამ მიზეზით სამხურს თავს არ anებებს. თუ პარლამენტმა არ ინება მის მიერ წარდგენილი კანონ-პროექტის განხილვა და ეს კანონი კანცლერის თვალში ძლიერ საჭიროა, მაშინ ის პარლამენტს ითხოვს. ეს დათხოვნა სრულიად არა ჰგავს იმას, რასაც ჩვენ ზევით ვამბობდით. პირველ შემთხვევაში სამინისტრო ითხოვს პარლამენტს იმიტომ, რომ უნდობლობის გამოცხადებას უკანონოთ თვლის და ხალხს სთხოვს მსჯავრის დადებას; მეორე შემთხვევაში იმიტომ, რომ სამინისტროს პარლამენტი არ მოსწონს. ასე იყო, მაგალ., 1878 წ. როცა პარლამენტმა უარჰყო სოციალისტური მოძრაობის დამშვიდება და 1893 წელში, როცა ის წინაღუდგა ჯარებში ცვლილების მოხდენას. დეპუტატთა პალატის უმთავრესი როლი კრიტიკაა! ის მსჯელობს ამა თუ იმ კანონის შესახებ, არჩევს მის შინაარს და ამ სახით მოქმედებს საზოგადოებაზე, მთავრობაზე პირდაპირი გავლენა მას არა აქვს. ქაღალდზე დაწერილი კონსტიტუციის ძალით პარლამენტს დიდი უფლებები აქვს, საქმით კი დიდი არაფერი, რადგან იქ მთავრობა ჯერ ერთობ ძლიერია; ჯერ ეს უკანასკნელი პასუხს არ აგებს თავის მოქმედებაში ხალხის წარმომადგენელთა წინაშე და თითქმის სრულიად დამოუკიდებლათ მოქმედებს.

სულ სხვა ნაირათ არის დაყენებული საქმე ამერიკაში. იქ ყოველივე ზომები მიიღეს იმისთვის, რომ ერთ ძალას მეორე არ დაეჩაგრა. ამერიკელების შეხედულებით ქვეყანას თვით კონსტიტუცია უნდა განაგებდეს.

შეერთებულ შტატების დემოკრატიულ რესპუბლიკაში, როგორც გერმანიის იმპერიაში, არ არსებობს უძლიერეს პარტიების წარმომადგენელი სამინისტრო და ის, როგორც მთელი, კოლეგია, პასუხს არ აგებს. ბევრ შტატებში მინისტრები დროებით არჩეული პირებია სხვა და სხვა ადმინისტრატიული საქმეების საწარმოებლათ. ისინი ხალხის მიერ არიან არჩეულნი და პასუხსაც მის წინაშე აგებენ. მთელი ფედერაციის—კავშირის სათავეში კი პრეზიდენტი დგას და ის თვითონ ნიშნავს მინისტრებს. ძველი საფრანგეთის მეფეებზე ამბობენ, რომ ისინი მეფობდენ და ქვეყანას მართავდენ, თანამედროვე ინგლისის მეფეებზე ამბობენ, რომ ისინი მეფობენ მაგრამ არ განაგებენ, ამერიკის პრეზიდენტზე შეიძლება ითქვას, რომ ის არ მეფობს, მაგრამ განაგებს, საფრანგეთის პრეზიდენტი კი არც მეფობს და არც განაგებს. საფრანგეთის პრეზიდენტს ირჩევს საერო კრება. ე. ი. დეპუტატების პალატის და სენატის შეერთებული სხდომა. ამერიკისას—ხალხი; კონსტიტუციის სიტყვების ძალით არჩევნები ორ ხარისხოვანი უნდა იქნეს—ესე იგი, თვითეული შტატი ირჩევს ამრჩეველს და ესენი—პრეზიდენტს. საქმით კი აქ ის ხდება, რაც სენატის არჩევის დროს. ძლიერი პოლიტიკური პარტიები ნიშნავენ თავის კანდიდატებს, მათი გვარები ამრჩევლების არჩევის დროს გამოქვეყნებულია. ამრჩევლებს არჩევის თავისუფლება როდი აქვთ: იმათ ირჩევენ იმ პირობით, რომ თავის მხრივ უსათუოდ ესა და ეს კანდიდატი აირჩიონ. ასე, რომ ამრჩეველი ხალხის სურვილს უნდა დაემორჩილოს. როგორც ინგლისის პირველი მინისტრი, შეერთებული შტატების პრეზიდენტიც გამარჯვებული პარტიის წინამძღოლია. თავის მოქმედებისთვის ის პასუხს აგებს პირდაპირ ქვეყნის წინაშე, მისი მინისტრები კი მის წინაშე აგებენ პასუხს. კანონის დარღვევისთვის მისი პასუხისგებაში მიცემა შეიძლება და როგორც ინგლისის პირველ მინისტრის, მისი გასამართლება შეუძლია განსაკუთრებულ სასამართლოს, რომელიც უმთავრესათ საკანონმდებლო კრების წევრებისაგან უნდა შედგეს. ის აგრეთვე პასუხს აგებს იმ პოლიტიკურ პარტიის წინაშე, რომელმაც ის პრეზიდენტათ აირჩია, თუ მან ამ პარტიის პროგრამა არ აასრულა. ინგლისის მეფე არასოდეს არ ესწრება სამინისტროს კრებას, თუმცა სამინისტრო მის პირად სათათბიროთ ითვლება. ამერიკის პრეზიდენტი მონაწილეობას ღებულობს მინისტრების კრებაში და მათთან ერთათ მოქმედობს. მაგრამ მთელი მათი მოქმედება აღმასრულებელია, ადმინისტრატიული ხასიათისაა. ისინი მონაწილეობას არ ღებულობენ პოლიტიკაში და კანონების გამოცემაში, როგორც ევროპის სამინისტროები. ისინი არ ეხებიან პარტიების ურთ-ერთ დამოკიდებულებას, არ ცდილობენ ისინი ერთმანეთში შეათანხმონ, ან წაჰკიდონ; ისინი არ აღგენენ კანონ-პროექტს, არ იმუშავებენ პოლიტიკურ პროგრამას. მათ პარლამენტში შესვლის უფლება არ აქვთ. მართალია, პრეზიდენტის დამტკიცებაა საჭირო, როცა რომელიმე კანონს ორთავე პალატა ღებულობს, მაგრამ თუ ის კანონს არ ეთანხმება, იმ შემთხვევაში ვალდებულია ათი დღის განმავლობაში კანონი ისევ უკან დააბრუნოს და აღნიშნოს, რა და რა არ მოსწონს მას. პალატებმა ისევ უნდა განიხილონ ის და თუ თვითეული პალატის ორმა მესამედმა ის ისევ მიიღო, მაშინ პრეზიდენტის თანხმობა საჭირო აღარ არის.

სამაგიეროთ, ადმინისტრატიულ საქმეებში პრეზიდენტსა და მინისტრებს, როგორც აღმასრულებელ ორგანოს, თვალსაჩინო დამოუკიდებლობა ეძლევა. საფრანგეთის პრეზიდენტის მაგიერ პასუხს აგებს მისი პირველი მინისტრი. ამერიკაში კი პრეზიდენტი აგებს პასუხს მინისტრების მაგიერ. რადგანაც პრეზიდენტი და მინისტრები საკანონმდებლო კრების წევრები არ არიან, ამიტომ შესაძლებელია ისინი იმ პარტიას არ ეკუთვნოდენ, რომელსაც პარლამენტის უმრავლესობა ემხრობა. სანამ ისინი აშკარათ არ დაარღვევენ სახელმწიფოს კანონებს, პარლამენტს არ შეუძლია ისინი დაითხოვოს ან თავისი პოლიტიკური პროგრამის განხორციელება მოსთხოვოს. პარლამენტს შეუძლია მათი მოქმედება დაიწუნოს, მაგრამ მათი გადაყენება კი არ შეუძლია, სანამ პრეზიდენტის ახალი არჩევნები არ მოხდება. პრეზიდენტი ვალდებული არ არის პარლამენტის საყვედურები სახეში მიიღოს, ის ყურადღებასაც არ მიაქცევს ამ საყვედურებს, თუ ეს საყვედურები წარმოადგენენ რეზოლიუციებს, რომელნიც პრეზიდენტს ამა თუ იმ ზომის მიღებას ავალებენ. ის ვალდებული არ არის ერთბაშათ დაემორჩილოს კანონებს, რადგან მას აქვს უფლება კანონი არ დაამტკიცოს (ვეტო), რაც კანონის წინააღმდეგ ბრძოლას ნიშნავს. მხოლოდ პარლამენტის საქმეა სახელმწიფოს შემოსავალ-გასავალის გაწესრიგება, მაგრამ პატარა თანხების დახარჯვა მთავრობას უპარლამენტოთაც შეუძლია. პარლამენტი ვერ აუკრძალავს მთავრობას სახელმწიფო ხაზინიდან ფულის აღებას, ვერც პრეზიდენტს წაართმევს ჯამაგირს, რადგან ფაქტიურათ ეს სახელმწიფო მანქანის შეჩერებას ნიშნავს, ან, როგორც ამერიკელები ამბობენ, „ეს ნიშნავს კაცმა ცხვირი მოიჭრას და ამით თავისი პირისახე დაიმახინჯოს“. არც სამინისტროს დამხობა შეიძლება უნდობლობის გამოცხადებით, როგორც ეს ევროპის პარლამენტარულ სახელმწიფოებში ხდება.

ისიც თუ რისთვის და როგორ მოურიდებლათ გრეკავს ხალხის წარმომადგენლებს და როგორ წავიდნენ ისინი ვიბორგში, რომ ხალხის მიმართ მთავრობის საწინააღმდეგო მოწოდება გამოეშვათ. ერილობამ სასტიკათ დასძრახა მინისტრების მოქცევა და ხალხის წარმომადგენლების მოქმედება მოიწონა. ეს თავისთავათ უმნიშვნელო ფაქტი—დეპუტატის საუბარი თავის ამომრჩევლებთან—პოლიციამ ისე გაზვიადა, რომ არაჩვეულებრივი აღელვება გამოიწვია. რედაქტორ-გამომცემლებს მოსთხოვეს არ დაბეჭდონ ამ კრების ამბავი და არც დეპუტატ ბიორდინის სიტყვა.

— პენზის გუბერნიის დეპუტატი, მშრომელთა ჯგუფის წევრი ვრაგოვი სოფელ კამენკაში პოლიციას დაუპატიმრებია პანაშვიდის შემდეგ, რომელიც ვრაგოვის ინიციატივით მოკლულ გერცენშტეინის პატივსაცემლათ გადაიხადეს. როცა დეპუტატის დაჭერა გაიგეს, მთელი სოფელი ფეხზე დადგა, ასტეხა ზარების რეკა, რასაც სხვა სოფლებიც შეუერთდნენ. შეიკრიბა დიდძალი გლეხობა და სისხლის დაუღვრელათ განათავისუფლეს დატუსაღებული დეპუტატი და ხელით გამოიყვანეს. შემდეგ ხალხმა დაფხრიწა სამფერი დროშები, დატოვა მარტო წითელი ნაჭრები და რევოლიუციონური სიმღერებით სადგურისკენ გასწია—პოლიტიკურ ტუსაღების გასათავისუფლებლათ. ხალხი დაემუქრა ისპრავნიკს, თუ კიდევ დაიჭერთ ვისმეს, წესიერების იმედი ნუ გექნებათ.

**„ალადინი რას იტყვის?“** სიზრანიდან ატყობინებენ „სარატოვის უწყებას,“ რომ 16 ივლისს ს. **ზაბოროვკაში** სასოფლო ყრილობა მოხდარა. წაუკითხავთ მინისტრის ცირკულიარი მაწათმფლობელობის მომწყობ კომისიის შესახებ. გლეხებმა ვერ გაიგეს კარგათ მინისტრის ცირკულიარი, და მწერალს სთხოვეს აეხსნათ. მწერალმა აუხსნა, რომ მთავრობა თხოულობს ასეთ კომისიების შედგენას და ახლა თქვენც უნდა აირჩიოთო.—დუმა რაღას შვებაო, ერთხმათ შეეკითხნენ გლეხები.—დუმა გარეკესო, უპასუხეს. გლეხებმა გადასწყვიტეს არ ამოირჩიონ კაცები „მთავრობის“ კომისიაში და დაადგინეს: არჩეულ იქნას თითო სოფელზე თითო კაცი და გაიგზავნოს სიმბირსკში დეპუტატ ალადინის მოსაძებნათ—რას იტყვის ალადინიო. რასაც ალადინი იტყვის, ჩვენც იმის უბუდს გავხდებითო.

**მინისტრის ბრძოლა გლეხების წინააღმდეგ.** შინაგან საქმეთა მინისტრს სტოლიპინს შემდეგი ცირკულიარი დაუგზავნია გუბერნატორებისათვის: „სარწმუნო წყაროებიდან გაიგე, რომ რუსეთის მრავალ გუბერნიებში სოფლის მუშები გაფიცვებს გაფიცვებზე მართავენ და აიძულებენ მემამულეთ მეტათ დიდი ხელფასის მიცემას; ადგილ-ადგილ იმასაც კი ბედავენ, რომ სხვა სოფლებიდან მოსული მუშები გარეკონ და ამათ საშუალებას ართმევენ მემამულეებს მეურნეობა აწარმოვონ. ვიღებ რა მხედველობაში, რომ ასეთი მოქმედება თუმცა ეკონომიურ ნიადაგზეა აღმოცენებული, მაგრამ მაინც **დამღუპველია** საზოგადოებრივი მშვიდობიანობისთვის, ვანდობ თქვენ მაღალ აღმატებულებას სასტიკი ზომები მიიღოთ ასეთ უკანონობის ჩასაქრობათ. ამისთვის საჭიროთ ვცნობ მოსთხოვოთ თქვენ ხელქვეითებს სასტიკათ ადევნონ თვალყური გლეხების მოძრაობას და გაცნობონ, თქვენ კი ფართოთ უნდა ისარგებლოთ იმ ძალით, რომელიც თქვენ ხელშია. თუ საქმის ვითარება გამწვავდება, მაშინ ამ წლის თხუთმეტ აპრილს უმაღლესათ დამტკიცებულ აზრით უნდა იხელმძღვანელოთ **სოფლის მუშათა გაფიცვის აკრძალვის შესახებ.** სასტიკი თვალყური უნდა ადევნოთ მეთაურებს, უნდა დაიჭიროთ და გადასახლოთ ისინი. უკვე დაწყებული აღელვება შეუბრალებლათ უნდა ჩააცხროთ, თვით დასაწყისში უნდა მოსპოთ პოლიციის და ჯარების შემწეობით ისე რომ ხელ-ახლა განმეორება აღარ შეეძლოს“.

**გლეხები მაინც არ ისვენებენ,** თუმცა ადმინისტრაცია თავის მხეცურ მოქმედებას აორკეცებს. რიბინსკიდან იწერებიან, რომ ბევრ სოფელში მიტინგები იმართება გამოცდილ აგიტატორების ხელმძღვანელობით. გლეხები დიდი ინტერესით ეკიდებიან აგიტატორების სიტყვებს და სასტიკ წინააღმდეგობას უწევენ ადგილობრივ ადმინისტრაციის, როცა ის აგიტატორის დაჭერას მოინდომებს. „ვიბორგის მოწოდება“-ს გარდა მრავლათ ვრცელდება ყველა უკიდურეს პარტიების მიერ ხელმოწერილი მოწოდება—„მთელი რუსეთის გლეხობას“. ამ მოწოდებაში უკიდურესი პარტიები ურჩევენ გლეხებს არ დაემორჩილონ **ძველი მთავრობის** აღც ერთ დადგენილებას, როგორც უკანონოს და ხალხის დამღუპველს.

პოდოლის გუბერნიის სოფ. მაუმკაში ორი ახალგაზრდა გლეხისთვის უცემია სტრაჟნიკებს. გლეხებსა და სტრაჟნიკებს შორის შეტაკება მომხდარა—მოუკლავთ ორი სტრაჟნიკი. შემდეგ გამოუწვევიათ დრაგუნები, მომკვდარა შვიდი გლეხი და ბევრი დაჭრილა.

— ვიატკის გუბერნიის სოფ. სორვიჟში დიდი აღელვება მომხდარა გლეხებში. მიზეზი ის ყოფილა, რომ ადმინისტრაციას ყალბი განაჩენი შეუდგენია, ვითომც გლეხები მთავრობას მადლობას სწირავენ დუმის გარეკვის გამო—და სამინისტროში გაუგზავნია. გლეხებს გამოუცვლიათ სასოფლო ადმინისტრაცია, ხოლო ისპრავნიკს და შავრაზმულ მღვდელს გაქცევით უშველნიათ თავისთვის. სოფელში ჯარი გაუგზავნიათ.

ასეთივე ყალბი განაჩენი შეუდგენია სამარის გუბერნიის ერთი სოფლის მამასახლისს. ამისთვის გლეხებს ის სოფლიდან გაუძევებიათ. საზოგადოთ გლეხები წვავენ და ილებენ მემამულეების სახლ-კარს, ჩეხენ ტყეებს, იტაცებენ პურს, თივას, ხეხილს და ერთმანეთში ინაწილებენ. შეტაკება ხშირათ მოსდით სტრაჟნიკებთან და კაზაკ-დრაგუნებთან. ერთი ასეთი შეტაკება მოსვლიათ ბუგულმინის მაზრის ს. ბაიარკის მცხოვრებ თათრებს და სტრაჟნიკებს. თათრები მემამულის ტყეს კაფავდნენ თურმე, ტყეში სტრაჟნიკები ჩაუსაფრდნენ და მრავალი გამოასალმეს წუთისოფელს.

**შურისძიება.** მთავრობა შურს იძიებს იმ გლეხებზე, რომლებმაც აგრარულ მოძრაობაში მონაწილეობა მიიღეს. ძლიერი დამსჯელი რაზმი მოქმედებს თურმე ვორონეჟის გუბერნიაში, სადაც აგრარული მოძრაობა უკვე ჩაცხრობილია. ბობროვსკის მაზრაში ისპრავნიკს შეუკრებია ვოლოსტის წარმომადგენლები—სულ მოხუცები. ყრილობას კაზაკები შემორტყმიან და საშინელი ცემა დაუწყიათ. ხალხი მიწაზე დაცემულა, ტირილით ევედრებოდნენ თურმე შებრალებას, მაგრამ ისპრავნიკს მანამდე განუგრძია ხალხის ცემა, სანამ იქაურობა სისხლით არ შეღებილა. მეორე სოფელში დამსჯელ ექსპედიციას კრება ორ ნაწილათ გაუყვია, ახალგაზდები დარაზმულ კაზაკებს შუა გაუტარებია და ისე უცემიათ. საზოგადოთ დამსჯელი რაზმები ისე მოქმედობენ, თითქოს ბრძოლის ველზე იყვნენ.

**ვინ მეთაურებს ყაჩაღთა ბრბოებს.** ვარშავის პოლიციას დიდ ხანს უძებნია ანარხისტები, რომლებსაც სხვათა შორის მდიდარი მუსაათის გაძარცვას. აბრალებდნენ და დაუჭერია... საიდუმლო პოლიციის აგენტი რაჩკოვსკი, რომელიც თურმე ყაჩაღებს მეთაურობდა.

**დუბასოვი და პობედონოსცევი მკვდრეთით აღსდგენ.** დუბასოვი—ცნობილი მოსკოველი ჯალათი, რუსეთში ბრუნდება. მას, როგორც ამბობენ, დიდ ადგილს აძლევენ შორეულ აღმოსავლეთის ჯარში. პობედონოსცევს მინისტრთა საბჭოს კრებებზე იწვევენ და მის სიტყვას თურმე დიდი გავლენა აქვს.

**რათ აძლევენ დეპუტატებს პასუხის გებაში.** ვიბორგის მოწოდების გამო დეპუტატებს პასუხის გებაში აძლევენ. საქმეს მომავალ არჩევნების გათავების შემდეგ გაარჩევენ. მთავრობას სურს, რომ ყოფილი დეპუტატები მეორეხელ არ იქნან არჩეულნი. ამისთვის მიუციათ ისინი პასუხის გებაში.

## რუსეთის პრესა

„ვოენნი გოლოს“-ში (პროგრესიულ მიმართულების სამხედრო ორგანოში) დაბეჭდილია დოქტორ პოკროვსკის წერილი, რომელშიაც იგი არკვევს იმ ფსიხოლოგიურ პროცესს, რომელიც ჯარში ხდება:

„ამ ჟამათ ჯარში დიდი ფსიხოლოგიური ცვლილება ხდება და თავს იჩენს ის კანონი, რომელსაც ჩვენ ვერას გზით ვერ გავაუქმებთ: რაც ხდება ხალხში, ჯარზედაც მოქმედობს, და წინააღმდეგ, რაც ჯარში ხდება, ხალხზე მოქმედობს. ამ კანონის ძალით არმია გადაიქცა ხალხის სულიერ მდგომარეობის ბარომეტრათ, რა როლსაც აქამდის მოსწავლე ახალგაზრდობა ასრულებდა. სალდათების ნერვები მოდუნებულია, მათი ნერვები ძალიან ადვილათ ღიზიანდება, ყოველი გარეშე აქტი მათზე დიდ გავლენას ახდენს. მით აიხსნება, რომ, საცა კი თავს შეყოფს ე. წ. „კრამოლნიკი“, პოლკშია, თუ გემზე, თუ სხვაგან, უთუოთ ერთ წამში ბუნტი იფეთქებს. მართალია, ნიადაგიც მომზადებულია, მაგრამ ეს გარემოება, რომ „კრამოლნიკების“ გავლენა მეტათ სწრაფათ იჩენს ხოლმე თავს, იმით აიხსნება, რომ სალდათებს „შემკავებელი ცენტრები“ (задерживающіе центры) მეტათ დასუსტებული. აქეთ ჯარის ფლოტის ამნაირი მდგომარეობა ბევრ უბედურებას გვიქადის“.

## უცხოეთი

**უცხოეთის პრესა რუსეთის შესახებ.** გაზეთი „ტაიმს“-ი სტოლიპინის შესახებ სწერს: „სტოლიპინის დაპირება, შეადგინა სამინისტრო საზოგადოების მოღვაწეებისაგან არ განხორციელდა. მშვიდობიან განახლების პარტიის წევრები იძულებული შეიქნენ უკან დაეხიათ და თავიანთი ადგილი სასახლის პარტიის მიერ წამოყენებულ პირთათვის დაეთმოთ.

— მაწათ მოქმედების ახალი მინისტრი ვასილჩიკოვი რამდენიმე წლის განმავლობაში, როგორც თავად-აზნაურთა წინამძღოლი მთელი თავისი ძალღონით ებრძოდა ლიბერალურ მოძრაობას ნოვგოროდის გუბერნიაში. ეხლა ის სასახლის რეაქციონურ ჯგუფის თვალსაჩინო წევრია. მისი მაწათ-მოქმედების მინისტრათ დანიშვნა ალბათ იმის ბრალია, რომ იმისმა მამამ ამ 35 წლის წინათ რაღაც წიგნი დასწერა აგრარულ საკითხის შესახებ.

სტოლიპინი შეცდა. მან დიდი მნიშვნელობა მისცა თავის განმავლობას. როცა მას ოქტომბრისტებთან მოლაპარაკება ქონდა გრ. იგნატიევი და გორემიკინი პეტერგოფში მოქმედებდნენ და კიდევაც გაიმარჯვეს.

სტოლიპინს მხოლოდ ერთი დარჩენია, უარი სთქვას ლიბერალურ პრემიერობაზე რეაქციონურ კაბინეთში“.

**გაზეთი „მატენ“-ი:** „თავადი ვასილჩიკოვი მთელ რუსეთში ერთ მდიდარ მემამულეთაგანია. დაახლოებით მას 100 ათასი დესეტინა მიწა ექნება; მაგრამ მიუხედავათ ამისა, აგრარული საკითხი მის სპეციალურ საგანს არ შეადგენს. ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი ფილოსოფოვია, მაგრამ მას თავის დღეში არც ვაჭრობა და არც მრეწველობა არ შეუსწავლია.

სინოდის ობერ-პროკურორი იზვოლსკი საგარეო საქმეთა მინისტრის ძმაა მხოლოდ და არავითარი კავშირი არ ქონია თავის დღეში საეკლესიო კითხვებთან.

შეიძლება ეს კარგიც იყოს, რადგან ალექსანდრე პირველის დროს ობერ-პროკურორათ გუსარი იყო“.

— „ნოიე ფრაიე პრესე“ ამბობს: „სტოლიპინი ეხლა იმ კაცის მდგომარეობაშია, რომელმაც სტუმრები მიიწვია სადილზე, მარა რაკი უარი მიიღო, მათ მაგიერ ვინც იქ შეხვდა ხელათ, ისინი მიიწვია—ბიუროკრატები და სამსახურიდან გადამდგარი მინისტრები. ყველა მისი ახალი მინისტრები ძველი, გამოწაფული ბიუროკრატები არიან.

— თავადი ვასილჩიკოვი—თავიდან-ფეხამდე კონსერვატიზმის განხორციელებაა. როცა ის წითელი ჯვრის მთავარ-გამგე იყო მაინცა და მაინც კარგი სახელი ვერ მოიხვეჭა. იზვოლსკი და ფილოსოფოვი ძველი ნაცნობები არიან ვიტეს სამინისტროდან.

ერთი სიტყვით ყველაფერი ძველებურათ რჩება და სტოლიპინის სამინისტროს ხალხის ნდობაზე და კონსტიტუციაზე ოცნება აღარ სჭირია. მისი ერთათ ერთი ბურჯი, როგორც ამდენხანს მხოლოდ მარტო პოლიცია, მოხელეთა მთელი არმია და სამხედრო სასამართლოებია.

**„ტან“-ი:** „ბოლოს როგორც იქნა სტოლიპინმა შეადგინა „ლიბერალური“ სამინისტრო კონსერვატორ ბიუროკრატებისაგან. მინისტრებზე ისიც კი აღარ შეიძლება ითქვას, რომ ისინი ტეხნიკურათ გაცნობილი არიან მომავალ მოქმედებასთან. წითელი ჯვრის საზოგადოების მთავარი გამგე—მიწათ მოქმედების მინისტრია! მთავარი კანტრალიორი—მრეწველობის მინისტრია!

მაგრამ სამაგიეროთ ისინი იმდენათ კონსერვატორები კი არიან, რომ პრემიერს მოეწონოს.

ამ გვარათ სტოლიპინის ლიბერალური აზრები განუხორციელებელი დარჩა. დადგა თუ არა თავის თანამდებობაზე, მან პირველადვე გაზეთებისკენ გაილაშქრა და ყველა ლიბერალური გაზეთები დახურა, მარტო პეტერბურგში ხუთი დღის განმავლობაში დაატუსაღა 268 კაცი და გაასახლა ასზე მეტი. 17 ოქტომბრის მანიფესტის წინააღმდეგ გაიყვანა 55 მილიონი მანეთის „ასიგნოვკა“, რომელზეც დუმამ უარი უთხრა და ბოლოს ყველა ეს იმით დააგვირგვინა, რომ ყველა გუბერნატორებს მოწერილობები დაუგზავნა და უბრძანა ხელი შეუშალოს მომავალ დუმის არჩევნებს, რომ დამოუკიდებელ აზრების დეპუტატები არ აირჩიონ. ეს ნამდვილი ორიგინალური გაგებაა წარმომადგენლობით მართველობის. თუმც ასეთი პოლიტიკა მინისტრების მდგომარეობას უზრუნველყოფს, მაგრამ სამაგიეროთ სახელმწიფო კი ვერ იქნება უზრუნველყოფილი“.

„ბერლინერ ტაგებლატ“-ი: ახალი მინისტრების სახელები არავითარ იმედებს არ იძლევიან, რომ რაიმე ცვლილება მოხდეს რუსეთში.

თავადმა ვასილჩიკოვმა ისე იცის აგრარული საკითხი, როგორც სამსახურიდან გადამდგარმა სტიშინსკიმ. მაგრამ ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, თუ კი მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ვასილჩიკოვს აურებელი მამულები აქვს. მასში რუსეთი ხედავს მსხვილ მაწათმფლობელობის ენერგიულს დამცველს, და აქედან ცხადია რამდენათ შესძლებს ის ქვეყნის დამშვიდებას.

ფილოსოფოვის შესახებ ერთი საინტერესო ფაქტი ყველაფერს გვეუბნება: „მას არავითარი დიპლომი არ ქონია, ისე იშოვნა მოხელის დიდი ადგილი. სასაცილო მხოლოდ ისაა, რომ მრეწველობის, ვაჭრობის და მით უმეტეს მწვავე მუშათა კითხვები მან ისე კარგათ იცის, როგორც ვირმა ბულბულივით გალობა. ამიტომ მისი დანიშვნა მეტათ გასაკვირალია. ასევე ითქმის იზვოლსკიზედაც.

მარა საქმე იმაშია, რომ ამგვარ სამინისტროთი დიდათ კმაყოფილი არიან უმაღლეს წრეებში, რადგან დიდებული მინისტრები არჩევნებს ჩინებულათ ჩაატარებენო“.

**მეორე ნაწილის გადამწერლების და სანიტარების რეზოლიუცია:**

მეორე ნაწილის გადამწერლებმა და სანიტარებმა შეერთებულ კრებაზე გაამხილეს რა აღმაშფოთებელი ინციდენტი, რომელიც მოხდა შაბათს 5 აგვისტოს ქალაქის სამმართველოში, დაადგინეს გამოუცხადონ თავიანთი უზომო ზიზღი ასეთ ველურ თვითნებობას.

კრების მინდობილობით ნეოფ. გაბ-ძე.

## წერილები რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესათ გთხოვთ თქვენ პატივცემულ გაზეთში ცოტაოდენი ალაგი დაუთმოთ ამ ჩემ წერილს.

ამას წინეთ გაზეთ „კავკაზში“ იყო განცხადება თფილისის სასულიერო სემინარიიდან, რომელშიაც იწოდებდნენ სემინარიაში ყოფილ შეგირდებს, ამასთან უცხადებდნენ, რომ ენკენისთვიდან სემინარიაში სწავლა განახლდება და ვისაც სურს დაბრუნება სასწავლებელში, უნდა შემოიტანოს თხოვნა სემინარიაში არა უგვიანეს 19 აგვისტოსი.

ამისათვის საჭიროთ ვცნობ, რაიმე განკარგულება იყოს მომხდარი სემინარიის შეგირდების ამხანაგობის ბიუროსაგან, გაზეთების საშუალებით გამოეცხადოს ამხანაგებს (სემინარიელებს) თუ რა გზას დაადგენ. ვსთხოვთ ბიუროს რამდენათაც შესაძლებელი იქნება, ადრე გვამცნოს წერილის პასუხი.

ნატაშვილი.

—

გაზეთ „ტალღის“ მე 5 ნომერში მოთავსებულია შენიშვნა ამხ. მუშისა, ჩვენის საკანდიტეროს მუშათა გაფიცვის შესახებ. ამ წერილში ყველაფერი კარგათაა აწერილი და დასურათებული, გარდა სიმართლისა.

ჩვენ გაფიცულს მუშებს წინადადებას ვაძლევ, გამომყვენ საამხანაგო სამართალში ამ საქმის საბოლოოთ მოსაწესრიგებლათ, რაზედაც ვგონებ ჩვენი მუშები უარს არ იტყვიან; ჩვენის მხრივ მედიატორეებათ ვასახელებთ ამხ. სოლომონ ვადაჭკორიას, დიმიტრი ჯაშსა და ნესტორ ცერცვაძეს. მათაც აირჩიონ თავიანთი მხრივ სამი კაცი და საქმე სინდისიერათ გავარჩიოთ შაბათს 12 აგვისტოს, საღამოს 5 საათზე, ჩვენსავე საკანდიტეროში. (მიხ. პროსპექტი № 36). ხოლო საზოგადო საქმის დროს ჩვენს კერძო პიროვნებაზე გადასვლა და ჩირქის მოცხება კი საკადრისი საქმე არ არის და ამაზე გაზეთში არავითარ პასუხს არ ვაძლევ პატივცემულ მუშას.

მ. კვაჰაძე

—

ჩვენ, დროებით ქალაქ თფილისში მცხოვრებნი ველისციხის საზოგადოების წევრნი, სრულებით ვუერთდებით გაზეთ „ტალღის“ მე 7 ნომერში მოთავსებულ წერილის შინაარსს. ყალბი რწმუნებულების არჩევისათვის ჩვენც ზიზღს ვუცხადებთ იმ პირთ, ვინც მონაწილეობა მიიღო ამ მოღვაწეობაში. ამასთანავე ვუმატებთ, რომ ეს არა მკითხე მოთავე ვაჟბატონები ვალდებულნი არიან როგორც იურიდიულათ, ისე ზნეობრივათ, სამართალში წარდგენ ხალხის წინაშე, აღიარონ თავიანთი სიმართლე და გაიმართლონ თავი შემდეგ ბრალდებაში: 1) რა ნება გაქვთ, დიდო ბატონებო, ქვეყნის პატრონებო, რომ ეწევით ხალხში ისეთ მავნე აგიტაციას, რომელიც უკარგავს შეუგნებელ ხალხს მომავალ იმედებს? 2) ხალხის შექმნილ სიმდიდრეს, რომ ხალხი თითონვე მოიხმარს, ეს კარგათ იცით, და თქვენ ვიღამ მოგიწვიათ გულშემატკივრებათ? 3) საყოველთაო არჩევნების უფლება პირდაპირი, თანასწორი, ფარული კენჭის ყრით, განურჩევლათ ეროვნებისა და სქესისა განა იმასა ნიშნავს, რომ საზოგადოების არჩევნებზე 1/5 წევრების გარდა არ უნდა ესწრებოდეს არც სხვა ერის წარმომადგენლი და არც ქალები? ზიზღს გიცხადებთ, ბატონებო, ხალხის ღალატისათვის, და თუ არ გამოისყიდეთ ცოდვები, იცოდეთ, ყოველი შრომა ღირსია სასყიდლისა. ხელს ვაწერთ ამხანაგთა ჯგუფი: არტემა თარხანოვი, ბუღდან ყაზაროვი, ნასყიდა ტატიევი, ლევან სომხიშვილი, საქულ თათულოვი, გიორგი ქალანთაროვი, ტიგრან ბაირამოვი, ალექსანდრე მასლოვი, ალექსა სარიკიშვილი, სიმონ თარხნოვი, სანდრო სტეფანოვი, აკოფა კურატაშვილი, გიგო დალაქიშვილი, არტემა ალთუნ-ხლი, ნიკა ყაზაროვი.

# დეპეშები

(პეტერბურ. დეპეშათა სააგენტო).

8 აგვისტო

**პეტერბურგი.** კრასნოსელსკის ვოლოსტის გლეხების დეპუტაციის მიღების დროს ხელმწიფე იმპერატორმა მათი სიტყვის საპასუხოთ შემდეგი უპასუხა: „გმადლობთ პურ-მარილისთვის და უმეტესათ იმისთვის, რომ თქვენ გამომიცხადეთ თქვენი შეურყეველი განზრახვა მოთმინებით ელოდოთ იმ ზომების განხორციელებას, რომლებიც მე საჭიროთ ვსცანი გლეხთა საჭიროებების დასაკმაყოფილებლათ“.

**ყაზანი.** ვიცე-გუბერნატორი ჩებოკსარისკენ წავიდა ერთი როტა სალდათებით, რადგან იქ ქალაქში და მაზრაში არეულობა დაიწყო.

**კოსტრომა.** სოფელ სერელში ჯარის ... სელისთანავე არეულობა შესწყდა. ფაბრიკის ბევრი მუშები არეულობის წინააღმდეგი არიან. დაატუსაღეს სატახტო ქალაქიდან მისული 17 აგიტატორი.

**მოსკოვი.** რუსეთ-ჩინეთის ბანკის განყოფილებიდან ყალბი ბარათით მიიღეს 20,000 მანეთი.—გრადონაჩალნიკმა აკრძალა ხამოვნიჩესკის და ზამოსკვორეჩიის რაიონის ხალხის თავისუფლების პარტიის კრებები.

**იუზოვკა.** გაჩხრეკის დროს დაიჭირეს რევოლიუციონურ კომიტეტის საყურადღებო ქაღალდები. დაატუსაღეს კომიტეტის რამდენიმე წევრი.

**პეტერბურგი.** ჟურნალ „ისტინა“-ს რედაქტორს, ჯარის შეურაცხყოფისათვის სა... მოსამართლო პალატამ ერთი თვით ჰაუპტვახტში ჯდომა მიუსაჯა და სამი წლით რედაქტორობა აუკრძალა. ჟურნალი სა... მოთ დაიხურა.

გაზეთ „ტავარიშჩ“-ის სიტყვით განსვენებულ გერცენშტეინის ოჯახობას „ნაროდნაია რასპრავა“-ს კამორიდან (ხულიგანთა პარტია) წერილი მიუღია, რომლითაც წინადადებას აძლევენ შეიტანონ 3,000 მანეთი სიზრანში ცეცხლისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ, 3000 მ. არეულობის დროს დაზარალებულ პოლიციელთა ოჯახების სასარგებლოთ. ამას გარდა ამ წერილით ...ულობენ გამოაქვეყნონ გაზეთის საშუალებით, რომ გერცენშტეინის ოჯახობა არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ ეკუთვნის. უკეთუ ყველა ამას არ აასრულებენ, სი... დილით ემუქრებიან.

**ვარშავა.** აკრძალულია ქუჩებში ჟურნალ-გაზეთების ყიდვა. ქუჩებში ჩხრეკაა. დუქნები საღამოს 8 საათზე იკეტება. ქუჩები ცარიელდება, 10 საათზე სრული მყუდროებაა.

**პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა მინისტრი მიმართა სამინისტროებს და მთავარ გამგეებს წარმოადგინონ თავიანთი მოსაზრებანი მათ ხელქვეით დაწესებულებების მოქმედების შესახებ. ახლო მომავალში ეს მოხსენებანი განხილულ იქნება მინისტრთა საბჭოში, რომ ყველა დაწესებულებების მოქმედება შეთანხმებული იყოს ერთი მეორესთან.

შუადღისას ვასილიევის კუნძულზე მაფზერგის ლვინით სავაჭროში შევიდა ვიღაც შეიარაღებული უცნობი, სამი ტყვიით ... მეთ დასჭრა მაფზერგი. ხმაურობაზე მო... ბინეს მუშებმა და გამვლელებმა. ბორო... გამზრახველი ჩაჯდა ეტლში და გაქცევა უნდოდა, მაგრამ დაიჭირეს. მაფზერგი საავადმყოფოში გაგზავნეს.

ივლისის განმავლობაში 230 საქმე მოისპო, 267 სრულიად გაანთავისუფლეს და 39 ნება მისცეს საზღვარ-გარეთ წავიდნენ.

**სედლეცი.** სედლეცის პოლიცმეისტერს ... მოლცევს ყუმბარა ესროლეს. ყუმბარამ ორივე ფეხები მოსწყვიტა. ნახევარი საათის შემდეგ პოლიცმეისტერი გარდაიცვალა. პოლიცმეისტერთან ერთათ დაიჭრა ფერშალი, დარაჯი და ორი ქალი.

**სამარა.** (ოფიც. კორესპ.) ღამით თავის ბინაზე მოკლეს ბორისოვსკის პოლკის პოლკოვნიკი გეორგიუ. ბოროტ-განზრახველებმა ნავთი გადაასხეს მოკლულ გვამს და დასწვეს. დასწვეს აგრეთვე სახლი, მოკლულთან ორი „დენშჩიკი“ და სამ... კო კამანდის შეგირდი ცხოვრობდნენ.

**სიმბირსკი.** სოფ. ოტმალში, კურმიშის მაზრაში საშინელი გრიგალი ამოვარდა. ... დროს ქუჩაში 4 ბავშვი იდგა და ... ხუთი საჟენის სიმაღლეზე აიტაცა და ... ნებლათ ჩამოვარდნენ მიწაზე. 40 საჟენის სიგრძეზე ყველაფერი განადგურებულია.

**სევასტოპოლი.** რკინის გზით გაგზავნეს სამხედრო აჯანყების თაობაზე დაპატიმრებული პირველი ჯგუფის მატროსები.

ტყუილია ის ცნობა, თითქო ყოფილი დუმის წევრი ონიპკო სამართალში მიეცათ. ონიპკოს საქმე ჯერ გამოძიებაშია და ბრალდებულო ოქმი არ შეუდგენიათ. ... ზეთ „ვოლია“-ს რედაქტორს კობეცკის მოსამართლო პალატამ ერთი წლის ... გადაუწყვიტა, „ვოლია“ სამუდამოთ დახურა, კობეცკის ერთი წლის განმავლობაში უფლება არა აქვს გაზეთის გამოცემისა. ბრალს სდებენ მე-129 მუხ. ძალით, „ბაქო“-დან რევოლიუციონერის დამარხვის შესახებ ამბის გადმობეჭდვისათვის.

რედ.-გამომცემელი ი. კარგარეთელი

ელექტრო-მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“ ტფილისი,. ოსმოლის ქუჩა,